www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 28 ივლისი, 2012 წელი. | №3076 (169) | ფასი 50 თეთრი

გამოძიება კახი კალაძის საეჭვო ოპერაციებს სწავლობს

კახი კალაძის ანგარიშების დაყადაღების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოში საჩივარი შევიდა. საჩივრის განხილვისთვის სააპელაციო სასამართლოს 48-საათიანი ვადა აქვს.

საქმე ისაა, რომ მთავარ პროკურატურაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინწინ დააკმაყოფილა და კახი კალაძის ანგარიშები დაყადაღა. ვარაუდი ფულის გათეთრების თაობაზე პროკურატურაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან ინფორმაცია შევიდა.

მიმდინარე გამოძიების თაობაზე პროკურატურამ გუშინ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.

"კახა კალაძის საბანკო ანგარიშებზე ბოლო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა დაახლოებით 6 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის თანხის ჩარიცხვა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ესეგუამ კვალიფიკაცია გადალახა

8

ვატარა ემილი და ოლიმპიურ ცეცხლში გახვეული ლონდონი

კახა ფაჩუაშვილი
ლონდონიდან

ბავშვობიდან ყველას გვახსოვს ზღაპრები საოცარ გმირებზე, დედის მკერდში გარინდულნი დღეებით კი არა, საათებით რომ იზრდებოდნენ და ბოლოს საზარელ დევებს ამარცხებდნენ. გვახსოვს, როგორ ჭამდნენ ბევრს, რომ გაზრდილიყვნენ და როგორ იღვიძებდნენ მგალობელი ჩიტების ტკბილ ჰანგებზე. რა ნეტარება იყო...

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ეს ბიჭები შაურმას მაგრად აკეთებენ

რუსეთში "ბალოტნაიას საქმე" გააპროტესტეს

სალომე ჭანიაშვილი

მოსკოვში, ასევე რუსეთის სხვა ქალაქებსა და მსოფლიოს რამდენიმე ქალაქშიც ხუთშაბათს ჩატარდა აქცია, რომელიც მიზნად ე.წ. "ბალოტნაიას საქმეზე" დაკავებული ადამიანების დაცვას ისახავდა. მათ 6 მაისს გამართული "მილიონების მარშის" დროს არეულობაში მონაწილეობას აბრალებენ. ოპოზიციონერები და ადამიანის უფლებათა დამცველები გამოძიებას უკანონოს უწოდებენ.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6593⇓
1 ევრო	2.0371⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6083⇓
1 თურქული ლირა	0.9104⇓
100 რუსული რუბლი	5.1510⇓
თბილისი	30°C - 20°C
ქუთაისი	37°C - 24°C
თელავი	33°C - 18°C
ზუგდიდი	36°C - 21°C
ბათუმი	31°C - 24°C

ნავთობი	2.89	+0.02	+0.67%
გაზი	3.03	-0.06	-1.91%
ოქრო	1,623.80	+8.70	+0.54%
ხორბალი	898.00	+14.00	+1.56%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოობს	5.90	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	9.00	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	6.90	3.00
ქართველები ამერიკაში	17.90	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	15.90	11.00

მერაბიშვილი გულ-სისხლძარღვთა კლინიკას ეწვია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ჯანდაცვის უწყების ხელმძღვანელთან ერთად, გუშინ თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკაში მივიდა. კლინიკაში გუშინ წარმატებით დასრულდა გულიდან სიმსივნის ამოკვეთის ურთულესი ოპერაცია. პრემიერი ოპერაციაში მონაწილე სამედიცინო პერსონალს შეხვდა.

რთული ქირურგიული ოპერაციის დეტალები ვანო მერაბიშვილმა უშუალოდ კლინიკის მთავარი ექიმისგან მოისმინა. პრემიერი ოპერაციის ღირებულებით დაინტერესდა და აღნიშნა, რომ მთავრობის ამოცანაა, ყველაზე გაჭირვებულ ადამიანსაც კი ჰქონდეს მსგავსი ოპერაციის გაკეთების საშუალება იმ სადაზღვევო პოლისით, რომელიც მოსახლეობას ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფის სამთავრობო პროგრამის ფარგლებში ურიგდება.

ოპერაციის ღირებულება - 9200 ლარი - სადაზღვევო კომპანიამ დაფარა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ დაზღვეულთა რაოდენობის ზრდის პარალელურად, სამედიცინო პერსონალის ხელფასებიც უნდა გაიზარდოს.

ივანიშვილი მესტიის რაიონის მოსხლეობას შეხვდა

"გონიერი პოლიტიკის შემთხვევაში, ჯანსაღი ურთიერთობა ევროპასთან და რუსეთთან ერთდროულად არის შესაძლებელი," - ამის შესახებ კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა გუშინ სვანეთში, სოფელ ხაიშში სტუმრობისას განაცხადა.

მოსახლეობასთან შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილს ერთ-ერთმა ადგილობრივმა მიმართა: "ბატონო ბიძინა, თვალებში შეგვხედე და ისე გვითხარი - საით მიგყავთ საქართველო?" "თვალებშიც შეგხედავ და გულშიც ჩაგხედავ," - უპასუხა "ქართული ოცნების" ლიდერმა და განაცხადა, რომ ქვეყანა უნდა წაიყვანონ იქ, სადაც პროგრესია.

"სადაც უკეთესია, იქითკენ უნდა წავიდეთ, დღევანდელი ხელისუფლება რომ იკვეხნის ევროპა, ევროპაო - ევროპა მათ არ აურჩევიათ, ზვიადიც ევროპისკენ იყო, შევარდნაძეც კი ევროპას იძახდა, რადგანაც უკეთესი ჯერ კაცობრიობას არაფერი მოუფიქრებია," - აღნიშნა ივანიშვილმა.

"ქართული ოცნების" ლიდერის თქმით, ევროპას ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ ამავდროულად, ურთიერთობები ყველა მეზობელ ქვეყანასთან უნდა დალაგდეს.

"ჩვენ ვერავინ შეგვიცვლის და ვერ გადაიტანს რუსეთს ჩვენი საზღვრიდან. უნდა მოვახერხოთ, რომ ყველა მეზობელთან დავალაგოთ ურთიერთობა, მაგრამ არა ევროპისა და ევროატლანტიკური სივრცის ხარჯზე; სწორი გზითაც უნდა ვიაროთ და ამავე დროს ყველა მეზობელთან უნდა გვქონდეს ჯანსაღი და კარგი ურთიერთობა. ძალიან ხშირად, როდესაც ამას ვამბობ, მეუბნებიან, ისიც და ესეც გამორიცხულიაო. არ არის გამორიცხული, ორივე შესაძლებელია გონიერი პოლიტიკის შემთხვევაში," - განაცხადა კოალიციის ლიდერმა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი ფართოვდება

საქართველოს ვაჭრობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების და, შედეგად, ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

რა დინამიკით იცვლება საქართველოს ექსპორტ-იმპორტი? საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) მორიგი კვლევა დაასრულა და მონაცემები გამოაქვეყნა.

სტატისტიკის ახალი მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს ნომერ პირველ გასაღების ბაზარზე ექსპორტი ერთ წელიწადში 83 პროცენტით გაიზარდა - 2012 წლის ნახევრის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს ნომერ პირველი საექსპორტო ბაზარი აზერბაიჯანია, სადაც წელს 283,227 მლნ დოლარის პროდუქციის ექსპორტი მოხდა. გასულ წელს ამ ციფრმა 154,474 მლნ დოლარი შეადგინა. მსუბუქი ავტომობილების გარდა, ასევე გაზრდილია სატვირთო ავტომობილების რეექსპორტიც - 6,192 მლნ დოლარიდან 14,978 მლნ დოლარამდე.

2012 წლის იანვარ-ივნისში გაზრდილია სამივე მაჩვენებელი წინა წლების შესაბამისი პერიოდების მიმართ. 2012 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 1367 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 32 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 199 მლნ. აშშ დოლარი იყო (15 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი - 1169 მლნ. აშშ დოლარი (36 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 28 პროცენტი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში 17 პროცენტი და იმპორტში 31 პროცენტი. (2011 წლის იანვარ-ივნისში - შესაბამისად, 25, 17 და 28 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის სავაჭრო დეფიციტის 38 პროცენტი (2011 წლის იანვარ-ივნისში - 33 პროცენტი). დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2012 წლის იანვარ-ივნისში 1488 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2011 წლის იანვარ-ივნისთან შედარებით 5 პროცენტით მეტი). აქედან, ექსპორტმა - 560 მლნ. აშშ დოლარს (12 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტმა 928 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (1 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ს ქვეყნების წილი 31 პროცენტი იყო, მათ შორის, ექსპორტში 49 პროცენტი და იმპორტში 25 პროცენტი. (2011 წელს - შესაბამისად 34, 48 და 29 პროცენტი).

დსთ-ს ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 14 პროცენტი (2011 წლის იანვარ-ივნისში - 20 პროცენტი). 2012 წლის იანვარ-ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნულ ქვეყნებთან უარყოფითი სავაჭრო სალდო 11 პროცენტით შემცირდა.

2012 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (741 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (606 მლნ. აშშ დოლარი) და უკრაინა (341 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს ნომერ პირველი საექსპორტო პროდუქტი კი მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის სტატისტიკითაც მსუბუქი ავტომობილებია. წელს პირველ ნახევარში ქვეყნიდან 260,914 მლნ დოლარის ავტომობილების ექსპორტი მოხდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6 პროცენტით მეტია. ამ პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში წელს 22,9 პროცენტი იყო.

ასევე, თითქმის გაორმაგებულია ავტომობილების ექსპორტი თურქეთში - შარშანდელი 2,384 მლნ დოლარიდან წლევანდელ 4,128 მლნ დოლარამდე.

ფეროშენადნობების ექსპორტი უდრიდა 120 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში - 11 პროცენტს. მესამე ადგილზე აზოტოვანი სასუქების ჯგუფი დაფიქსირდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 66 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 6 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2012 წლის იანვარ-ივნისში კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები რჩება, რომლის იმპორტმა 437 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 12 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე იმყოფება მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 331 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 9 პროცენტია. მესამე ადგილზე ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადების ჯგუფი დარჩა 146 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 4 პროცენტი).

საქართველოდან უკრაინაში ექსპორტი 37,7 პროცენტით გაიზარდა და იმპორტი 29,2 პროცენტით შემცირდა - ექსპორტის მოცულობამ 83,243 მლნ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა - 257,754 მლნ დოლარი. ექსპორტის ზრდა ძირითადად სპირტიანი და მინერალური სასმელების ექსპორტის ზრდამ და, ასევე, რკინიგზის ლოკომოტივების ექსპორტის დაწყებამ განაპირობა.

სპირტიანი სასმელების ექსპორტი ერთ წელიწადში 12,837 მლნ დოლარიდან 17,717 მლნ დოლარამდე გაიზარდა, მინერალური სასმელების - 12,827 მლნ დოლარიდან 17,139 მლნ დოლარამდე. წელს 6 თვეში უკრაინაში 10,515 მლნ დოლარის რკინიგზის ლოკომოტივების ექსპორტი მოხდა, ხოლო შარშან, ამავე პერიოდში, ეს პროდუქცია ექსპორტში საერთოდ არ ფიგურირებდა. ღვინის ექსპორტი ერთ წელიწადში მცირედით - 10,428 მლნ დოლარიდან 11,932 მლნ დოლარამდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ფართოვდება საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი. გასულ წელს საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 147 ქვეყანა შეადგინა. საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, ვაჭრობის დივერსიფიცირება და რაც შეიძლება მეტ უცხოურ ბაზარზე გასვლა. საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის, 2003 წლიდან მოყოლებული, გამოირჩევა თურქეთი, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვა სტაბილურად მაღალია. 2007 წლამდე საქართველოსთან ვაჭრობაში წამყვანი ადგილი რუსეთს ეკავა, რომლის ბაზარზეც იყო ორიენტირებული საქართველოს პროდუქციის უდიდესი ნაწილი. საინტერესოა რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები - იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის გაუარესდა, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები არ შეწყვეტილა და დღემდე რუსეთი საქართველოს 10 უმსხვილეს პარტნიორს შორისაა. დღესაც რუსეთი სავაჭრო ბრუნვის მოცულობით უსწრებს ათეულიდან ბულგარეთს, სომხეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია - **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

45 ათასი უსამართლო უარი დაზღვეულებს

სოფო ჩიხლაძე

"საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის სექტორი" "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" შეისწავლა. კვლევის შედეგების პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერიაში" გაიმართა.

სახელმწიფო დაზღვევის მიმდინარე და ადრინდელი პროგრამების ეფექტიანობის, ეფექტურობისა და მდგრადობის შესაფასებლად ანგარიშში გაანალიზებულია ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამები, ასევე, საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის სექტორში არსებული ვითარება და ადეკვატური ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, თუმცა კვლევის ავტორებმა ყურადღება სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებზე გაამახვილეს.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ანგარიშში, სადაც 2008-2012 წლებში ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე არსებული მდგომარეობაა განხილული, აღნიშნულია, რომ საქართველოში დღეისათვის არ არსებობს სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის სისტემა.

ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ 45 ათას მოქალაქეს საჭირო მომსახურების გაწევაზე უსამართლოდ უთხრეს უარი.

საქართველოში სულ 151 საავადმყოფო აშენდა. მათი 60 პროცენტი არამზღვეველი ინვესტორის საკუთრებაა, 40 პროცენტი კი - სადაზღვევო კომპანიების. მიშა კუკავას განცხადებით, აუცილებელია, საავადმყოფოები მართონ დამოუკიდებელმა მენეჯმენტ-კომპანიებმა და არა სადაზღვევო კომპანიების შვილობილმა კომპანიებმა, როგორც ახლა ხდება. სწორედ ამ ფაქტორის გამო, დღეისათვის სახეზეა მკვეთრად გამოხატული ინტერესთა კონფლიქტი.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მკვლევარებმა ანგარიშის მომზადებამდე სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში მონაწილე 252 ადამიანი გამოკითხეს. აქედან 40-მა განაცხადა, რომ მათი თვიური შემოსავალი 401 ლარიდან 3000 ლარამდე მერყეობს. **"20-ის თქმით, მათი შემოსავალი 300-400 ლარია, რაც ნიშნავს, რომ ისინი სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში თაღლითურად მოხვდნენ... ჩვენ გამოვიანგარიშეთ და დავადგინეთ, რომ 145 ათასი ადამიანი მისი შემოსავლებიდან გამომდინარე, ამ პროგრამაში არ უნდა იყოს. საქართველოს მთავრობამ ეს ადამიანები პროგრამიდან უნდა გამოთიშოს და მათთვის განკუთვნილი თანხა იმ სოციალურად დაუცველთა სადაზღვევო პაკეტებზე გადაანაწილოს, რომლებსაც ეს ნამდვილად სჭირდებათ,"** - გვითხრა მიშა კუკავამ.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მთავრობას, შემოიღოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. სოციალური მომსახურების სააგენტომ განახორციელოს სახელმწიფო დაზღვევის არსებული და ახალი გაფართოებული პროგრამის ბენეფიციარების კმაყოფილების და სარგებლიანობის მონიტორინგი. **"საქართველოს მთავრობამ უნდა განაახლოს ნებაყოფლობითი დაზღვევის პროგრამა გამოუყენებელი რესურსების ასათვისებლად, რაც ხელს შეუწყობს სადაზღვევო ბიზნესის მდგრადობას და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ქვეყანაში; საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს კონკურენციას სახელმწიფო დაზღვევის არსებული და ახალი გაფართოებული პროგრამების ვაუჩერების რაიონული განაწილების რეჟიმიდან თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში გადაყვანით, რაც ბენეფიციარის მიერ მზღვეველის არჩევის უფლებას გულისხმობს; საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებებსა და სადაზღვევო კონტრაქტებში/პოლისებში დეტალურად უნდა გაიწეროს სახელმწიფო დაზღვევის ბენეფიციართა უფლებები, რაც მათ საკუთარი დაზღვევის შესაძლებლობებით სრულად სარგებლობის საშუალებას მისცემს,"** - აცხადებს "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მკვლევარი მიშა კუკავა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მკვლევარის განცხადებით სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს, სამკურნალო საშუალებების ნუსხას შეეხება. მიშა კუკავას განმარტებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა გააფართოოს მის მიერ დამტკიცებული სამკურნალო საშუალებათა ნუსხა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

გამოძიება კახი კალაძის საეჭვო ოპერაციებს სწავლობს

პირველი გვერდიდან

ამავე ანგარიშიდან დროის მოკლე მონაკვეთში განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით საეჭვო ოპერაციად მიჩნეული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნაღდი ფულის გადინება. კერძოდ, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კალაძის საბანკო ანგარიშიდან ეტაპობრივად განხორციელდა 1 600 000 ლარამდე თანხის ნაღდი ფულის სახით გატანა, რომლის შემდგომი მოძრაობა არც ერთ საბანკო დაწესებულებაში არ ფიქსირდება. ამასთან, არ არსებობს ზემოთ აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებული რაიმე სახის სამოქალაქო გარიგების დამადასტურებელი დოკუმენტი.

იმავე დროის მონაკვეთში მისი ანგარიშებიდან დამატებით საბანკო ანგარიშგების (უნაღდო) წესით ხორციელდებოდა სხვადასხვა პირადი და საყოფაცხოვრებო ხარჯების ანაზღაურება, საერთო ჯამში, დაახლოებით 900 000 ლარის ოდენობით, რაც ადასტურებს, რომ სამოქალაქო გარიგებებისას ან სხვა მიმდინარე ხარჯების დაფარვისას კახა კალაძე ანგარიშსწორებას ახორციელებს ჩვეულებრივად, საბანკო ანგარიშსწორების (უნაღდო ოპერაციების) მეშვეობით," - ნათქვამია განცხადებაში.

მთავარი პროკურატურა აცხადებს, რომ საქართველოს კანონმდებლობისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, გამოძიება ვალდებულია, გამოიკვლიოს განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნაღდი ფულის საეჭვო ოპერაციები, რისთვისაც გამოძიების დასრულებამდე კალაძის საბანკო ანგარიშები დაყადაღებული იქნება.

"კახი კალაძეს ფულის გათეთრების ბრალდებას ვერ წაუყენებენ," - განუცხადა საგენტო "ინტერპრესნიუსს" კალაძის ადვოკატმა შალვა თადუმაძემ. მისი განმარტებით, ბრალის წაყენება შეუძლებელია, იქიდან გამომდინარე, რომ კალაძის ფინანსური რესურსი ბანკებშია და მათი მოძრაობა, ანუ გადარიცხვა საბანკო ანგარიშებიდან ხდება.

ადვოკატის განცხადებით, ის, რაც კახი კალაძის მიმართ ხდება, სამართლებრივი რეგულაციების სფეროში არ შედის.

"ანუ სამართალი არ იცნობს ბრალდებულის სტატუსის გარეშე პირის საბანკო ანგარიშების დაყადაღებას. შესაბამისად, როგორ განვითარდება მოვლენები, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ მათ ქმედებებში არანაირი ლოგიკა და სამართლებრივი საფუძველი არ არის," - განაცხადა შალვა თადუმაძემ.

თავად კახი კალაძე მისი ანგარიშების დაყადაღებას პოლიტიკურ დევნას უწოდებს და აცხადებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისთვის არანაირი საფუძველი არ არსებობდა.

ბურჯანაძე პარტნიორებს არჩევს

მაგდა ლეკიაშვილი

"დემოკრატიული მოძრაობის" მთავარი საბჭოს წევრი, პარტიის რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელი ზაზა სოფრომაძე გუშინ დააკავეს. ჟურნალისტებს სპეციალურ პრესკონფერენციაზე ინფორმაცია პარტიის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ მიაწოდა. მისი თქმით, სოფრომაძე გამთენიისას, საკუთარი სახლიდან აიყვანეს. მას დაკავებისთანავე ჰქონდა ერთი ზარის განხორციელების უფლება, თუმცა, ბურჯანაძის თქმით, მას რამდენიმე საათის განმავლობაში დარეკვის უფლება არ მისცეს. დაკავებულმა მეუღლესთან დარეკვა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც პარტიამ სოფრომაძის დაკავების შესახებ ინფორმაცია მედიით გაავრცელა. ბურჯანაძე ამბობს, რომ ჯერ კიდევ არ იციან, მათი პარტიის წევრი რომელ საგამოძიებო შენობაშია. როგორც თავად სოფრომაძე ამბობს, მას მოწმის სტატუსით კითხავენ. თუმცა კონკრეტულად რა დანაშაულის გამო, მისთვისაც უცნობია.

სოფრომაძე 2006 წლამდე სადაზღვევო ფონდის ხელმძღვანელი იყო. "დემოკრატიული მოძრაობის" ადვოკატები ვარაუდობენ, რომ დაკავების მიზეზი შესაძლოა, სწორედ სოფრომაძის ძველი საქმიანობაა. თუმცა, პარტიის წევრების თქმით, ის ერთხელ უკვე დააკავეს უკანონოდ - 2006 წელს. მაშინ სოფრომაძე 7 თვეში გაათავისუფლეს.

ზაზა სოფრომაძის მოწმის სტატუსით საგამოძიებო უწყებაში დაბარებას ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. შს მინისტრის მოადგილე შოთა ხიზანიშვილის თქმით, "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" წევრი ზაზა სოფრომაძე დაკავებული არ არის. ხიზანიშვილს ჟურნალისტებთან საუბარში არც სოფრომაძის პროკურატურაში დაბარების მიზეზი დაუკონკრეტებია.

"ვინაიდან სოფრომაძე მხოლოდ მოწმის სტატუსით დააკავეს, ვიმედოვნებთ, რომ მას ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გაყვანაში არ დაადანაშაულებენ. ჩვენს თანამებრძოლს უახლოეს ხანებში ვიხილავთ ჩვენ გვერდით," - დასძენს ბურჯანაძე. მისივე თქმით, ზაზა სოფრომაძე პასუხისმგებელი იყო საქართველოს მასშტაბით მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვებაზე. ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება არჩევნებში მისი მონაწილეობისთვის ხელშეშლას ცდილობს.

მიუხედავად იმისა, რომ ნინო ბურჯანაძეს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, "დემოკრატიული მოძრაობა", საქართველოს მასშტაბით, 25 ათას ხელმოწერას მაინც აგროვებს. ეს ხელმოწერები საკმარისი იქნება პარტიის დასარეგისტრირებლად, თუ ბურჯანაძე ამას გადაწყვეტს.

"პრაქტიკულად, ნულის ტოლია ხელისუფლების დამარცხების შანსი ერთიანი ოპოზიციური ფრონტის არსებობის გარეშე. ხშირად ისმის კითხვა - როგორ, განა ვერ მოიგებს "ქართული ოცნება" ან ოპოზიცია ამ არჩევნებს? სამართლიანი არჩევნები რომ ტარდებოდეს, რა თქმა უნდა, მოიგებს. ჩვენი თავის ტკივილი სწორედ არადემოკრატიული არჩევნებია. არასამართლიანი არჩევნებია იმის მიზეზი, რომ ჩვენ საბოლოოდ ჯერ არ გადაგვიწყვეტია, მივიღოთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობა," - ამბობს ნინო ბურჯანაძე.

ნინო ბურჯანაძე "სახალხო კრების" წევრია და "ქართულ ოცნებასთან" აწარმოებს კონსულტაციებს. პარალელურად, ბურჯანაძე კუკავა-ასათიანი-შაშიაშვილის სამსუბიექტიან საარჩევნო ბლოკთან თანამშრომლობს. თუმცა ბურჯანაძეს პარტნიორი ჯერ არ შეურჩევია.

"მემარჯვენეები" საკუთარ პარტიას მომავალ პარლამენტში ხედავენ

მაგდა ლეკიაშვილი

"ნაციონალურმა მოძრაობამ" "კარდაკარი" რამდენიმე კვირის წინ დაიწყო. პარტიის კოორდინატორები სხვადასხვა რაიონებში მაჟორიტარობის კანდიდატთა მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებას იკვლევენ. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები კი ამ "კარდაკარში" გარკვეულ ბუნდოვანებებზე საუბრობენ. "ახალი მემარჯვენეები" ამბობენ, რომ საქართველოს მასშტაბით ამ პროექტის განხორციელება დიდ ფინანსებს მოითხოვს. "მემარჯვენეებს" მმართველი პარტიისგან არც პროექტის მასშტაბურობა და სიძვირე გაუკვირდებოდათ და არც წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლის განწყობის გაგების და მათი მიმხრობის სურვილი. მაგრამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე აღნიშნავს, რომ კითხვარი გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენს. ჩიხრაძის თქმით, როდესაც "ნაციონალური მოძრაობა" ახალი პრემიერ-მინისტრის მიერ 1000-ლარიანი ვაუჩერის დარიგების შესახებ გაცხადებულ ინიციატივას მოსახლეობას სთავაზობს, როგორც პარტიულ ინიციატივას, ეს არის საბიუჯეტო სახსრებით ამომრჩევლის მოსყიდვის (გადაბირების) შეუფარავი მცდელობა. ამიტომ, "მემარჯვენეები" მიიჩნევენ, რომ ეს ფაქტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს.

"მემარჯვენეები" კითხვარიდან კიდევ შეკითხვას აპროტესტებენ: რომელ პარტიას დაუჭერთ მხარს საპარლამენტო არჩევნებში? პასუხები კითხვაზე კი შემდეგია: "ნაციონალური მოძრაობა", "ქართული ოცნება"; "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"; სხვა დანარჩენი; ჯერ არ ვიცი; არ გადამიწყვეტია; უარი პასუხზე; ყველას წინააღმდეგ.

ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, "ნაციონალური მოძრაობა" აღნიშნული კითხვარით მომავალ პარლამენტში მისთვის სასურველი პოლიტიკური განლაგების ღია პროპაგანდას ეწევა. როცა შეკითხვა ამომრჩევლისთვის სასურველ პოლიტიკურ არჩევანს ეხება, პასუხებში მხოლოდ სამი პოლიტიკური ძალაა ჩამოთვლილი.

"ქვეყანაში, სადაც მმართველი პარტია სრულად შერწყმულია ხელისუფლებასთან, ამ კითხვარით არჩევნების წინ საქართველოს მოსახლეობას ღიად პროპაგანდისტულ მესიჯს უგზავნის, რომ ხელისუფლებას მომავალ პარლამენტში ხელს აძლევს მხოლოდ ეს ძალები. ამგვარი ფორმულირება მოიცავს ქვეტექსტს, რომ არჩევნების ბედი უკვე გადაწყვეტილია, რომ სხვა პოლიტიკური ძალა ვერ შევა პარლამენტში და ეს გადაწყვეტილად ასე უნდა მიიღოს ქართულმა საზოგადოებამ. გვინდა, ვუთხრათ "ნაციონალურ მოძრაობას" - მიუხედავად დიდი მონდომებისა და მცდელობისა, ვერც დღემდე მოახერხა ვინმემ და ვერც დღეს მოახერხებს ქართულ პოლიტიკაში ყველაზე არაკონიუნქტურული, თანმიმდევრული, პრინციპული და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკური ძალის - "ახალი მემარჯვენეების" პოლიტიკური ველიდან განდევნას," - აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე. "მემარჯვენეები" ამბობენ, რომ ხელისუფლების კაბინეტებში დაწერილი სცენართან შეგუებას არ აპირებენ. გაერთიანება დარწმუნებულია, რომ არჩევნებში წარმატებას მიაღწევს.

ბაქრაძე ვანის რაიონის მოსახლეობას შეხვდა

პარლამენტის თავმჯდომარე ვანის რაიონის სოფელ ბზვანში იმყოფებოდა. დავით ბაქრაძე ადგილობრივებს შეხვდა და მათთან სახელმწიფო პროგრამებზე ისაუბრა. პარლამენტის თავმჯდომარემ ჯანდაცვის პროგრამაზე, 1000-ლარიან ვაუჩერსა და საყოველთაო დაზღვევის პროექტებზე გაამახვილა ყურადღება.

ბაქრაძემ ადგილობრივების პრობლემებიც მოისმინა. საუბარი შეეხო გზის აღდგენის აუცილებლობას, წყლით მომარაგებასა და ელექტროენერგიის მიწოდების ხარვეზების გამოსწორებას, ასევე გაზიფიკაციის საკითხსაც. პარლამენტის თავმჯდომარე მოსახლეობას აღნიშნული პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

გუშინვე დავით ბაქრაძე ნიკოლოზ საკანდელიძის ოჯახსაც სტუმრობდა, სადაც ხანშიშესულებისა და მოზარდებისათვის 4 სადაზღვევო პოლისი პირადად მიიტანა.

საქართველოსა და უკრაინისთვის მთავარი საგარეო საფრთხე რუსეთია

ქართველ და უკრაინელ ექსპერტთა შეფასებით, საქართველოსა და უკრაინისთვის მთავარ საგარეო საფრთხეს რუსეთი წარმოადგენს. ამის შესახებ ექსპერტებმა თბილისში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე, საერთაშორისო კვლევა "უსაფრთხოების ბარომეტრის" შედეგების შეჯამებისას განაცხადეს.

კვლევის მიხედვით, რუსეთი უკრაინას ეკონომიკურ პრობლემებს უქმნის, ხოლო საქართველოსთვის სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს.

გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრის თავმჯდომარე თენგიზ ფხალაძის თქმით, ქართველმა და უკრაინელმა ექსპერტებმა დაასრულეს მუშაობა კვლევაზე, რომლის მიზანი საქართველოსა და უკრაინის საშინაო და საგარეო საფრთხეების განსაზღვრა იყო. მისივე თქმით, კვლევამ მოიცვა პრობლემათა 4 ბლოკი - სამხედრო-პოლიტიკური; ეკონომიკური და ენერგო; ჰუმანიტარული და საინფორმაციო; ეკოლოგიური უსაფრთხოება.

ფხალაძის განმარტებით, კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კავკასიის რეგიონში არსებულ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს, ხოლო უკრაინის შემთხვევაში - გარკვეულ რეგიონებში რუსული ენის სტატუსის მინიჭების და ეკონომიკურ საფრთხეებს.

საქართველოს საელჩო მეზღვაურების საქმეში ჩაერთო

სტამბოლთან ახლოს გემზე მყოფი ქართველი მეზღვაურების საქმეში თურქეთში საქართველოს საელჩო ჩაერთო. ქართველი დიპლომატები გემთმფლობელ კომპანიასა და მეზღვაურებს დაუკავშირდნენ. ისინი თურქ სამართალდამცველებთანაც თანამშრომლობენ. როგორც აცხადებენ, მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ მეზღვაურებმა კუთვნილი გასამრჯელო მიიღონ და უმოკლეს პერიოდში შეძლონ საქართველოში დაბრუნება.

გაუსაძლის პირობებში მყოფი 6 ქართველი მეზღვაური უკვე რამდენიმე თვეა, დახმარების მოლოდინშია. როგორც აცხადებენ, ყველა მათგანი თავს შეუძლოდ გრძნობს, შემოელიათ საკვები და წყალი. ზვიად ბრუნჯაძე, რამინ გორგოშაძე, თემურ გოგრაჭაძე, ჯემალ მგელაძე, მამუკა ქოჩალიძე და ვეფხვია ცინცაძე გემ "გრანდ აილანდზე" იმყოფებიან. ისინი სამუშაოდ 8 თვის წინ წავიდნენ და სტამბოლში, ეგრეთ წოდებული, საშიში ტვირთების სადგომზე გემთმფლობელმა კომპანიამ უკვე 3 თვეა, უყურადღებოდ დატოვა. მეზღვაურები უყურადღებობაში თურქეთში საქართველოს საელჩოსაც ადანაშაულებდნენ.

ქდმ სოფელ ჭუბერის მოსახლეობას შეხვდა

"ქრისტიან - დემოკრატების" ლიდერები გუშინ მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერის მცხოვრებლებს შეხვდნენ. მათ მოსახლეობას წინასაარჩევნო პროგრამა გააცნეს და რეგიონის განვითარების გეგმა განუმარტეს. საუბარი შეეხო სასოფლო მეურნეობის განვითარებასა და დაფინანსების გაზრდას სახელმწიფოს მხრიდან.

"დღეს ჩვენ სოფელ ჭუბერში შევხვდით ადგილობრივებს და დეტალურად გავეცანით მათ პრობლემებს. როდესაც საკაშვილი რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარებითა და გზების მშენებლობით ტრაბახობს, სახეზეა სამწუხარო რეალობა - სასოფლო გზები და ინფრასტრუქტურა სერიოზულ რეაბილიტაციას საჭიროებს და. ამას გარდა, სოფლად მცხოვრებლებს დასაქმების, განათლებისა და ჯანდაცვის კუთხით უამრავი პრობლემა აწუხებთ," - განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

"ქრისტიან-დემოკრატების" ვიზიტი მესტიაში ორ დღეს გაგრძელდება. ლიდერები კვირიკობის დღესასწაულს დაესწრებიან.

ედპ რუსეთის მიმართ საპროტესტო წერილს შვეიცარიის ელჩს გადასცემს

ედპ-ს ვებგვერდზე განხორციელებული კიბერშეტევის ფაქტის გამო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩახვაძე შვეიცარიის ელჩს რუსეთის ფედერაციის მისამართით გამზადებულ საპროტესტო წერილს გადასცემს. ამის შესახებ გუშინ ედპ-ში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადეს.

"ჩვენ ამას აღვიქვამთ, როგორც ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაზე თავდასხმას; მეორეც, ედპ-ს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კიბერშეტევა, რომელიც დანაშაულია და კვალიფიცირდება, როგორც კიბერტერორიზმი, რაც ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსშიც არის დაფიქსირებული, განახორციელეს რუსეთის ფედერაციის შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა. ჩვენ აღნიშნული ოფიციალური წერილით გამოვხატავთ პროტესტს, რადგან ეს არის რუსეთის ფედერაციის მხრიდან საერთაშორისო ნორმების დარღვევა და ასევე ღია აგრესია სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ," - განაცხადა ჩახვაძემ.

დეპუტატის თქმით, ის ორშაბათს ოფიციალურად შეხვდება შვეიცარიის ელჩს და პარტიის საპროტესტო წერილს გადასცემს.

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა
უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მმუხლი 60

1.პარლამენტის სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2.მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტის და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

3.პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.პარლამენტის ღია პლენარული სხდომის ოქმი საჯაროა.

საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები, გარდა დახურულის მიმდინარეობს საჯაროდ. სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ აკრედიტებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს. საჯარო სხდომის გადაცემა მიმდინარეობს პირდაპირი ტრანსლაციით. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს მთავრობის სხვა წევრებსა და სხვა თანამდებობის პირებს აქვთ უფლება საკუთარი ინიციატივით დაესწრონ პარლამენტის პლენარულ სხდომას. აგრეთვე პარლამენტის თავჯდომარე უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს საზოგადოების წარმომადგენლები. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით ისეთი საკითხების განხილვისას, რომლებიც საიდუმლოების დაცვას საჭიროებს, საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს მთავრობის სხვა წევრებს, კომიტეტსა და ფრაქციას შეუძლიათ დასვან პარლამენტის პლენარული სხდომის ან მისი ნაწილის დახურულად გამოცხადების საკითხი. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. დახურულ სხდომაზე დამსწრე პირთა წრეს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე. საკითხის დახურულ სხდომაზე განხილვისას სხდომათა დარბაზის კარი იკეტება. პარლამენტს უფლება აქვს, კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება პლენარულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის წევრის მოწვევის, განსახილველი საკითხისა და პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის თარიღის შესახებ, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით და დაუყოვნებლივ ეგზავნება ადრესატს. საქართველოს მთავრობის წევრის მოხსენება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება სამთავრობო საათისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის წევრის მოხსენებისა და ინფორმაციის მოსმენის შემდეგ პარლამენტმა შეიძლება მიიღოს დადგენილება ან რეზოლუცია. საქართველოს მთავრობის წევრი ვალდებულია პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წერილობით წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

პარლამენტის წევრი ხმას აძლევს პირადად. ხმის მიცემის უფლებისა და ხმის მისაცემი ბარათის სხვისთვის გადაცემა დაუშვებელია. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, რომელიც მიმდინარეობს ხელის აწევით ან ელექტრონული სისტემით ან ფარული ელექტრონული სისტემის გამოყენებით ან ბიულეტენებით.

აკაკი კუხალეიშვილი
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

მუხლი 61

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას _ რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.

2. (ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, 15.10.2010.N#3710) საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ მეოთხედის ან მთავრობის წარდგინებით პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში.

3. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ჩატარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

4. პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში პარლამენტი იკრიბება. პარლამენტის მუშაობა გრძელდება ამ მდგომარეობის დამთავრებამდე.

პარლამენტი მუშაობს სასესიო წესით. სესიის ცნების ქვეშ მოიაზრება დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პარლამენტს შეუძლია ჩაატაროს პლენარული სხდომები და მიიღოს საპარლამენტო გადაწყვეტილებები. პარლამენტი იკრიბება მორიგ ან რიგგარეშე სესიაზე. მორიგ სესიაზე პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით იკრიბება წელიწადში ორჯერ – საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე. საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს, ხოლო საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს. პარლამენტის სესია იხსნება და დახურულად ცხადდება პლენარულ სხდომაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პარლამენტის ბიუროს სხდომაზე.

პარლამენტის სესია შედგება პლენარული და კომიტეტების სხდომებისაგან და იგეგმება ორკვირიანი ციკლით - კვირამონაცვლეობით. პირველი კვირა, გარდა ახალარჩეული პარლამენტის პირველი სასესიო კვირისა, ეთმობა კომიტეტების მუშაობას და ადგილებზე ამომრჩევლებთან შეხვედრას, ხოლო მეორე კვირა - პლენარულ სხდომებს. პარლამენტის პლენარული სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

პარლამენტი რიგგარეშე სესიაზე იკრიბება მხოლოდ მორიგ სესიებს შორის პერიოდში. პარლამენტის მორიგი სესია არ საჭიროებს ოფიციალურად მოწვევას. რიგგარეშე სესია მოიწვევა საქართველოს კონსტიტუციითა და რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას-რიგგარეშე სხდომას პარლამენტის თავმჯდომარის ან/და პარლამენტის შემადგენლობის არა ნაკლებ ერთი მეოთხედის წერილობითი მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით იწვევს საქართველოს პრეზიდენტი. რიგგარეშე სესიის ან სხდომის მოწვევის აქტი გამოიცემა წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პარლამენტი უფლებამოსილია მომდევნო 48 საათში შეუდგეს მუშაობას. საქართველოს პრეზიდენტი რიგგარეშე სესიას ან სხდომას მოიწვევს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 72 საათისა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ, რაც პარლამენტის წევრს პირადად უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 24 საათისა. წერილობით მოთხოვნას პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე თან უნდა ერთვოდეს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა, ხოლო წერილობით მოთხოვნას პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის თაობაზე - სესიაზე განსახილველ საკითხთა სავარაუდო ნუსხა. რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

მზია ფუტკარაძე
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

ქ.ბათუმი, სარქისოვანის ა.მუსაშვილის, ქN26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

რუსეთში "ბალოტნაიაის საქმე" გააპროტესტეს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ნოვოპუშინსკის" მოედანზე, მოსკოვის ცენტრში, ხუთშაბათს გაიმართა საპროტესტო აქცია, რომელიც ორგანიზებული იყო "6 მაისის კომიტეტის" მიერ. დამოუკიდებელი მედიის შეფასებით, მოედანზე დაახლოებით 3000 ადამიანი შეიკრება.

მიტინგის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ 6 მაისს "ბალოტნაიაზე" მიმდინარე მოვლენები არ მიეკუთვნება "მასობრივ არეულობას" და, აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ამ მუხლით უკანონოა. მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ყველა დაკავებული დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ. ამის შესახებ აქციაზე განცხადება "სოლიდარობის" აქტივისტმა და "6 მაისის კომიტეტის" წევრმა სერგეი დავიდსმა გააკეთა. მისი სიტყვებით, შეიარაღებული ძალადობა მოქალაქეების მხრიდან, რომლის საფუძველზეც შესაძლოა ყოფილიყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე, არ მომხდარა.

"დგება ისეთი პერიოდები, როდესაც ხელისუფლება ომს უცხადებს საზოგადოებას. და ახლა ჩვენ დაგვიდგა ეს პერიოდი. ხელისუფლება მოქმედებს ომის კანონებით, უფრო ზუსტად კი, უკანონოდ." - განაცხადა ადამიანის უფლებათა დამცველმა ვალერი ბორშევმა.

ამ დროისთვის საქმეა აღძრული 16 ადამიანზე, რომელთაც ბრალად ედებათ პოლიციასთან შეტაკებაში მონაწილეობა "ბალოტნაიაზე". მათგან 11 - ივნისში დააპატიმრეს, ხოლო კიდევ ორის დაპატიმრების თაობაზე განცხადება საგამოძიებო კომისიამ აქციის დაწყების წინ, 26 ივლისსვე გააკეთა. ერთ-ერთი მათგანი, ნიკოლოზ კავკაზსკი დააპატიმრეს ხუთშაბათს, აქციის შემდეგ.

"ესენი ქალაქელი ახალგაზრდები არიან, სტუდენტები. ეს არის ხალხი, რომელიც ხვალ გამოუტანს გარდაუვალ ისტორიულ განაჩენს ძველ ხელისუფლებას. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებას ეს არ ესმის," - განაცხადა რუსმა მწერალმა სერგეი შარგუნოვმა.

აქციის ყველა გამომსვლელი განსხვავებულ პოლიტიკურ მოძრაობებს სოლიდარობისა და კრემლთან ბრძოლაში ჩართვისკენ მოუწოდებდა. "ჩვენი ერთადერთი იარაღი - სოლიდარობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხვალ ნებისმიერ ჩვენგანს მოაკითხავენ," - განაცხადა "მემარცხენე ფრონტის" აქტივისტმა ალექსეი სახნინმა.

მემარცხენე ფრონტის ლიდერმა სერგეი უდალცოვმა მომიტინგეებს მოუწოდა, რომ ყოველ ხუთშაბათს მოაწყონ აქცია საგამოძიებო კომიტეტის წინ. მან თავის გამოსვლაში ასევე მოუწოდა საზოგადოებას, მონაწილება მიიღონ კიდევ ერთ "მილიონების მარშში", რომელიც 15 სექტემბრისთვის იგეგმება.

"ნოვოპუშინსკის" პარკში ჩატარებული აქცია შეთანხმებული იყო ხელისუფლებასთან, თუმცა აქციის მონაწილეთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 1,5 ათასი კაცისა. ორგანიზატორებს თავდაპირველად სურდათ, რომ მსვლელობა ბულვარში გაემართათ და მომიტინგეების რაოდენობა 5 ათასი ყოფილიყო, თუმცა ამაზე მათ უარი მიიღეს. მოსკოვის პოლიციის განცხადებით, პარკში სულ 800 ადამიანი შეიკრიბა, მათ შორის იყვნენ ჟურნალისტებიც.

აქციამ მშვიდობიანად ჩაიარა. პოლიციის ინფორმაციით, რომელიც პერიმეტრს იცავდა, მხოლოდ ერთი ადამიანი დააკავეს - ის მიტინგზე დანით, ტელესკოპური ჯოხითა და 5 ასაფეთქებელი რაკეტით ცდილობდა შესვლას.

დაპატიმრებულთა დასაცავად, მოსკოვის გარდა, ხუთშაბათს აქციები გაიმართა კიდევ ცამეტ ქალაქში, რუსეთში და მის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, აქციები გაიმართა სანკტ-პეტერბურგში, სამარაში, პენზაში, სარატოვში, როსტოვში, ვოლგოგრადში, ივანოვოში და ნიჟნი ნოვგოროდში. ოპოზიციის მომხრეებმა აქციები გამართეს ლონდონსა და თელავივში, რუსეთის საელჩოების წინ. ნიუ-იორკში და მიუნხენში - ცენტრალურ პარკებში, ხოლო პარიზში გაიმართა მსვლელობა სურათებით, რომელზეც გამოსახული იყო, როგორ ცემდა პოლიცია დაუცველ ადამიანებს.

ოპოზიციის ლიდერები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ 6 მაისის აქცია კანონების ფარგლებში ჯდებოდა. დიდია იმ ბრალდებულთა რიცხვი, რომლებიც აცხადებენ, რომ აქციაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ. ამის შესახებ განცხადება გააკეთა "დრუგაია როსიას" აქტივისტმა ალექსანდ კამენსკიმ, რომელიც ამტკიცებს, რომ იმ დღეს, სანამ "ბალოტნაიაზე" შეტაკება მოხდებოდა, რევოლუციის მოედანზე ის დააკავეს და შეტაკებაში მონაწილეობას ვერაფრით მოახერხებდა. მართალია, იგი დაკავებული არ არის, მაგრამ ეჭვიტანილთა სიაში მაინც რჩება.

"შემარცხენე ფრონტის" კოორდინატორმა სერგეი უდალცოვმა პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა, მონაწილეობა მიეღო "სელიგერ-2012"-ში, სადაც მას კრემლის მომხრე ახალგაზრდებთან მემარცხენე ოპოზიციის პროგრამაზე უნდა ესაუბრა. "შეაჩერეთ ჩვენი ახალგაზრდების დაპატიმრება და შემდეგ ვისაუბროთ!" - განაცხადა მან.

უდალცოვთან ერთად, "საგანმანათლებლო მისიით" "სელიგერში" მიემგზავრებოდნენ დემოკრატიული მოძრაობის "ჩვენ" ("Мы") ლიდერი, პოლიტიკური საბჭოს "სოლიდარობის" წევრი რომან დობროხოტოვი და "სპრავედლივაია როსიას" დეპუტატი ილია პონომარიოვი.

მყიფე ზავი მთიან ბადახშანში

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲩᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲕᲐ ᲨᲘᲚᲐᲙᲐᲫᲔ

მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრ ხოროგში, რომელიც ტაჯიკეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, გრძელდება მოლაპარაკებები ოპოზიციის ყოფილ საველე მეთაურებთან. ადგილობრივი ხელისუფლება და საშუამავლო მისიით სპეციალურად შექმნილი კომისიის წევრები, რომელთა შორის ადგილობრივი ავტორიტეტები და რელიგიური მოღვაწეებიც არიან, არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებების მებრძოლებს იარაღის დაყრისკენ მოუწოდებენ. ამას გარდა, მათ ხელისუფლებას უნდა გადასცენ ის ოთხი ეჭვმიტანილი, რომლებსაც ბრალი ედებათ 21 ივლისს მომხდარ დანაშაულში - ეროვნული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის საოლქო სამმართველოს უფროსის აბდულო ნაზაროვის მკვლელობაში. იარაღის ჩაბარების შემთხვევაში მებრძოლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ. ამის შესახებ განცხადება თავდაცვის მინისტრმა შერალი ხაირულოევმა ოთხშაბათს გააკეთა.

სამშაბათს ხოროგში დაიწყო სპეცოპერაცია, რომელიც მიზნად დამნაშავეების აყვანას ისახავდა. სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპა ათობით ადამიანი ორივე მხრიდან. მედიაში უკვე დაიწყეს საუბარი იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ "ეთნიკური წმენდა" ჩაატარა, რომლის შედეგადაც დაიღუპნენ ქალები და ბავშვები. გამომდინარე იქიდან, რომ სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა, ხელისუფლება შეეცადა, შუამავლების საშუალებით მოლაპარაკებები დაეწყო მებრძოლებთან. ტაჯიკეთის პრეზიდენტმა ემომალი რახმონმა 25 ივლისს, დილით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

თვითმხილველები ადასტურებენ, რომ გუშინ საღამომდე ეს რეჟიმი კვლავ ძალაში იყო. ხუთშაბათს დილიდან ხოროგში გაიხსნა მაღაზიები, ხალხმა დაიწყო ქუჩაში გამოსვლა. "ქალაქში ბევრი ჯარისკაცია, მაგრამ ამ სიტუაციაში სხვანაირად შეუძლებელია, იყოს."

ხოროგში მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით. კომისიაში მოიწვიეს ასევე ხალიფები - შიიტი სასულიერო პირები. კომისიის წევრები მოლაპარაკებებს აწარმოებენ საველე მეთაურებთან და არწმუნებენ მათ, რომ ხელისუფლების მოთხოვნები შეასრულონ. უშუალოდ ძალოვანი სტრუქტურები ამ მოლაპარაკებებში არ მონაწილეობენ. ცოტა ხნით ადრე პრეზიდენტმა რახმონმა მინისტრთა კაბინეტის შეხვედრა ჩაატარა, სადაც ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებისგან მოითხოვა, რომ სისხლის სამართლის საქმე ყველა იმ პირზე აღიძრას, რომელიც არ შეასრულებს წაყენებულ მოთხოვნებს და არ ჩაბარებს იარაღს. შეხვედრაზე მან ხოროგისა და მთლიანად მთიანი ბადახშანის მოსახლეობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

ოფიციალური მონაცემებით, სპეცოპერაციის დროს დაიღუპა 12 და დაიჭრა 23 სამხედრო მოსამსახურე, განადგურდა 30 და დაიჭრა უკანონო შეიარაღებული ბანდ-ფორმირების 40 წევრი, მათ შორის, ავღანეთის 8 მოქალაქე. ამავდროულად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ გაცილებით დიდია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში; მედია აქტიურად უსვამს ხაზს, რომ ნაზაროვის მკვლელობა მხოლოდ და მხოლოდ საბაბი იყო, რათა რეგიონში სადამსჯელო ოპერაცია დაეწყოთ, რომლის განხორციელებაც ტაჯიკეთის ხელსუფლებას დიდი ხანია სურს. მათ ავტონომიურ ოლქზე რეალური კონტროლის დამყარება სურთ. სამოქალაქო ომის დამთავრების მიუხედავად, ცენტრალური ხელისუფლება ამ პრობლემურ რეგიონს, ფაქტობრივად, სიმბოლურად აკონტროლებდა.

დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ცნობით, სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპა ხოროგის 100-ზე მეტი მცხოვრები, მთლიანად მსხვერპლი კი 200 კაცს აჭარბებს. თუმცა ხელისუფლება ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი საერთოდ არ არის. დამოუკიდებელმა კომისიამ ხუთშაბათს და პარასკევს დაიწყო კარდაკარ ჩამოვლა მოსახლეობაში და, სულ ცოტა, 20 მშვიდობიანი მცხოვრების დაღუპვის ფაქტი უკვე დადასტურებულია.

მთიან ბადახშანთან კავშირი, სატელიტურის გარდა, ისევ არ არის. 24 ივლისის შემდეგ გათიშულია ინტერნეტი, არ მუშაობს მობილური და სტაციონარული სატელეფონო კავშირი. დუშანბეში განთავსებული სამართალდამცავი ორგანოების და პრეზიდენტის პრესსამსახურები პამირში მიმდინარე მოვლენებზე კომენტარს არ აკეთებენ. ხუთშაბათ საღამოდან პარასკევ დილამდე ცოტა ხნით განაახლეს კავშირი მობილურმა ოპერატორებმა, მაგრამ შემდეგ ეს კონტაქტი ისევ შეწყდა. ტაჯიკეთის კავშირგაბმულობის სამსახურის ხელმძღვანელმა ბეკ ზუხუროვმა განაცხადა, რომ ყველა სახის კომუნიკაციის გათიშვა დაკავშირებულია "ტექნიკურ პრობლემებთან". მან უარყო, რომ მიიღო ტაჯიკეთის ხელისუფლებისგან ბრძანება, სპეცოპერაციის დროს ყველა საკომუნიკაციო საშუალება დაბლოკა. ამავდროულად, რეგიონში თავისუფლად ფუნქციონირებენ ავღანეთის მობილური კავშირის კომპანიები და მათი სიმ-ბარათის ყიდვაც უპრობლემოდ შეიძლება. ცოტა ხნით გაიხსნა გზები და რეგიონიდან გამოიყვანეს იქ ჩარჩენილი სამოციოდე უცხოელი ტურისტი. როგორც ირკვევა, სპეცოპერაციის დაწყებამდე გამოუყვანიათ რეგიონიდან საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები, ძირითადად, ისევ ტაჯიკეთის მოქალაქეები, თუმცა რატომღაც არ განახორციელეს მოსახლეობის ევაკუაცია ხოროგიდან.

ტაჯიკეთის პრეზიდენტმა 26 ივლისს დაგეგმილი ვიზიტი ბრიტანეთში გადადო. ამის შესახებ განცხადება პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა გააკეთა. ვიზიტის გადადება სავარაუდოდ უკავშირდება მთიან ბადახშანში მიმდინარე მოვლენებს.

აღსანიშნავია, რომ ხუთშაბათს ტაჯიკეთის პრეზიდენტმა მოლაპარაკებები გამართა ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრ ბისმილოხ მუჰამადთან და ავღანეთის უსაფრთოხების სამსახურის ხელმძღვანელთან რაჰმატული ნაბილომთან. ტაჯიკეთის პრეზიდენტის პრეს-სამსახურის განცხადებით მხარეებმა განიხილეს ტერორიზმის საწინააღმდეგო, ასევე იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდის საკითხებიც. რახმონს სატელეფონო საუბარი ჰქონდა ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაისთანაც. ამ უკანასკნელმა მას განუცხადა, რომ დამატებით ძალები გაგზავნა ტაჯიკეთის საზღვართან პრობლემების თავიდან ასაცილებლად. მოლაპარაკებებზე ასევე განიხილეს ტაჯიკეთისა და ავღანეთის საზღვრის დაცვის საკითხიც. პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებით, ავღანეთის უსაფრთხოების ძალებმა ავღანეთის საზღვარზე დააკავეს რამდენიმე ადამიანი, რომელთაც ბრალად ედებათ სხვადასხვა დანაშაულები და, სავარაუდოდ, დაკავშირებულნი არიან უკანონო შეიარაღებულ ჯგუფებთან ხოროგში.

პარასკევს მიმდინარე მოლაპარაკებში ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ საველე მეთაურებს შორის უკვე შეინიშნებდა პროგრესი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ იწყებოდა იარაღის ჩაბარება. ოღონდ არ იყო საბოლოოდ მიღწეული შეთანხმება დამნაშავეების გადაცემის თაობაზე. თან იყო წინააღმდეგობრივი ინფორმაცია იმ ადამიანების რაოდენობის თაობაზე, რომელთა გადაცემასაც ხელისუფლება ითხოვდა. არსებობს ორი სია: ერთი - 4-კაციანი (უშუალო შემსრულებლები) და მეორე - "გაფართოებული", 17-კაციანი. ეტყობა, ამ მეორე სიაში ის დაუმორჩილებელი საველე მეთაურებიც შედიოდნენ, რომელთა ხელში ჩაგდების გარეშეც ცენტრალურ ხელისუფლებას რეგიონზე კონტროლის დამყარება გაუჭირდება.

ცალსახად არ იყო ნათქვამი (ოფიციალური დუშანბე კომენტარებს არ აკეთებს), გაგრძელდებოდა თუ არა სამხედრო ოპერაცია მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში, მაგრამ თვითმხილველები იტყობინებიან, რომ დამატებითი სამხედრო ძალის მთიანი ბადახშანისკენ გადასროლა მიმდინარეობდა.

ადგილობრივი ოპოზიციისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები გაეროს, ეუთოს, ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს სიტუაციაში ჩარევას სთხოვენ. გუშინვე გამოქვეყნდა ევროკავშირის განცხადება, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება ტაჯიკეთში მიმდინარე სპეცოპერაციის გამო.

ამერიკა: ასადი ალეპოში სასაკლაოსთვის ემზადება

ამერიკამ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ სირიის სამთავრობო ჯარები ალეპოში ბრძოლისათვის ემზადებიან. თავის მხრივ, სირიელი მეამბოხეები იარაღს და მედიკამენტებს იმარაგებენ და საკუთარ პოზიციებზე თავდასხმის მოსაგერიებლად ემზადებიან. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ვიქტორია ნულანდის თქმით, სირიაში კონფლიქტის "სერიოზულ ესკალაციას" აქვს ადგილი. როგორც "ბი-ბი-სი" აღნიშნავს, ქალაქი უკვე დატოვა ათასობით მცხოვრებმა.

ამასთან, ცნობილი გახდა, რომ სირიის პარლამენტის დეპუტატი, რომელიც ალეპოს პროვინციას წარმოადგენდა, თურქეთში გაიქცა. იჰლას ბადავის თქმით, ის მეტად აღარ აპირებს, მხარი დაუჭიროს ტირანიას.

გუშინვე გაეროს უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებების საკითხში ნავი პილაიმ სირიის ხელისუფლებასა და ოპოზიციას ალეპოს მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ მოუწოდა. "სამოქალაქო პირები და სამოქალაქო ობიექტები - მათ შორის, სკოლები, კერძო სახლები ნებისმიერ დროს დაცული უნდა იყოს. ყველა მხარემ დარწმუნებით უნდა განასხვაოს ერთმანეთისაგან სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები," - აცხადებს პილაი. გაეროს კომისარმა შეშფოთება გამოთქვა გასულ კვირას ალეპოსა და ჰომსის ციხეებში პატიმართა მკვლელობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გამო. მისი თქმით, ეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა.

ბო სილაის მეუღლეს მკვლელობაში დასდეს ბრალი

გუშინ ჩინეთის ხელისუფლებამ ქვეყნის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ყოფილი წამყვანი ფიგურის ბო სილაის მეუღლე გუ კაილაის მკვლელობაში დასდო ბრალი. მას ბრალდება ბრიტანელი ბიზნესმენის ნეილ ჰეივუდის მკვლელობა გასული წლის ნოემბერში. ჩინური სააგენტოების ცნობით, გუმ და მისმა თანამოაზრეებმა ბრიტანელი ბიზნესმენი მოწამლეს. ჰეივუდი ჩინეთში ათ წელზე მეტი ცხოვრობდა, მას ცოლად ჩინელი მეუღლე ჰყავდა. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჰეივუდს ბრიტანულ სადაზვერვო სამსახურებთან ჰქონდა კავშირი, თუმცა ეს ფაქტი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა უარყო.

ბო სილაი გამოჩენილი ჩინელი პოლიტიკოსი იყო, რომელიც ამ წლის მარტში ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, ქალაქ ჩუნცინის კომპარტიის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ზოგიერთი დამკვირვებელი მას ჩინეთის ერთ-ერთ მომავალ ლიდერად განიხილავდა. თავად სილაი საკუთარ ამბიციებს არ მალავდა. შეგახსენებთ, რომ ოქტომბერში ჩინეთში ხელისუფლების გადაცემის პროცესი დაიწყება, რაც ცხრა წელიწადში ერთხელ ხდება.

ეგვიპტის ახალი პრეზიდენტი ჰამასის ლიდერს შეხვდა

"როიტერის" ცნობით, გუშინ ღაზას ისლამისტი ლიდერი ისმაილ ჰანია ეგვიპტის პრეზიდენტმა მოჰამედ მურსიმ მიიღო. პალესტინელი ოფიციალური პირის თქმით, ეგვიპტის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი მას ეგვიპტის გავლით ყატარიდან ღაზასკენ ნავთობის მიწოდების გაზრდას დაჰპირდა.

"მურსის გული ჰამასთან არის. იგი ყველაფრით დაგვეხმარება, რისი გაკეთებაც შეუძლია, თუმცა მას ბევრის მოცემა არ ძალუძს იქიდან გამომდინარე, რომ მისი ძალაუფლება შეზღუდულია," - აღნიშნავს პალესტინელი პოლიტიკური მიმომხილველი ჰანი ალ-მასრი. მურსის გაპრეზიდენტებას ღაზაში, მართალია, სიხარულით შეხვდნენ, თუმცა, როგორც ქვეყნის მეთაური, მურსი ვალდებულია, სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულებები შეასრულოს, რომელთა შორის ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულებაც იგულისხმება. ჰამასის განცხადებაში საუბარია, რომ "მურსიმ პირობა დადო, რომ ღაზას სექტორში პალესტინელების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნებდა."

ბაროზუ: სიტყვები საკმარისი არ არის

საბერძნეთს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში პირველად ეწვია ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ. ბაროზუს თქმით, საბერძნეთმა რეფორმებზე მხოლოდ ლაპარაკი უნდა შეწყვიტოს და რეალურად უნდა განახორციელოს ისინი. "ევროპისა და საერთაშორისო პარტნიორების ნდობის მოსაპოვებლად სიტყვები საკმარისი არ არის. მოქმედება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია," - აღნიშნა ბაროზუმ. ეს განცხადება მან საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ ანტონის სამარისთან შეხვედრისას გააკეთა.

"შე ბატონ ბაროზუს განვუცხადე, რომ ჩვენი მთავრობა მოწადინებულია სტრუქტურული ცვლილებების, პრივატიზაციისა და შეთანხმებული ზომების განხორციელებისათვის," - აღნიშნა თავის მხრივ სამარასმა, რომელმაც ისიც დაამატა, რომ ქვეყანაზე ზოგადად უარყოფითად მოქმედებს ევროპელი პარტნიორების მიერ საბერძნეთის მისამართით გაკეთებული ნეგატიური განცხადებები. სამარასს მხედველობაში დანიელი, ფინელი და განსაკუთრებით კი გერმანელი პარტნიორები ჰყავდა.

უკრაინის პარლამენტი ხელახლა იკრიბება

უკრაინის პარლამენტი რიგგარეშე სესიას ორშაბათს გამართავს. ამის შესახებ გუშინ გახდა ცნობილი. ეს ნიშნავს, რომ რუსულის "რეგიონულ ენად" დაკანონების კანონპროექტი საბოლოოდ, შესაძლოა, კანონად იქცეს. უმაღლეს რადაში რუსული ენის სტატუსის შესახებ კანონპროექტის მეორე მოსმენით "მიღებას" უკრაინულ სახლთან გამოსვლები და დაპირისპირება მოჰყვა. კანონი უამრავი პროცედურული თუ სხვა უფრო სერიოზული დარღვევებით (სხვისი პულტების გამოყენებით) "გაათრიეს." რადას თავმჯდომარემ ვლადიმერ ლიტვინმა კანონს ხელი არ მოაწერა და გათავისუფლება ითხოვა, თუმცა მისი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. ამის შემდეგ პარლამენტი სექტემბრამდე არდადეგებზე გავიდა, თუმცა გუშინ ცნობილი გახდა, რომ ორშაბათს რიგგარეშე სესია გაიმართება. როგორც აღნიშნავენ, რეგიონების პარტიას კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცემა, ლიტვინს ხელი მოანერინონ კანონზე ან პარლამენტი, სადაც პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის პარტია უმრავლესობით არის მოსული, ახალ სპიკერს აირჩევს.

მოამზადა თამთა კახაძემ

რედაქტორები ენის სიწმინდისათვის

ბელა ჩეკურიშვილი

გამომცემლობა "დიოგენეს" რედაქტორთა ჯგუფს - ანა ჭაბაშვილს, ლალი ჭინჭარაულს და ლალი ქადაგიძეს ყოველდღიურად უწევთ მუშაობა თარგმნილ თუ ორიგინალურ ლიტერატურაზე, მათ შორის, სახელმძღვანელოებზეც. რედაქტორის შრომა, პირველ რიგში, იმას ემსახურება, რომ ტექსტის ენა იყოს გამართული დადგენილი ნორმების მიხედვით. დღეს ქართულ საგამომცემლო სახლებში, მათ შორის, პრესაშიც, რედაქტორთა არსებობა არა მხოლოდ საშტატო ვალდებულებაა, სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან უცხო სიტყვებისა თუ ტერმინების ასეთი წამლეკავი ნიაღვარი ქართულ ენას ალბათ რუსიფიკაციის დროს არ ახსოვს, რასაც ემატება ჩვეულებრივი გაუნათლებლობა - ქართული ენის სინტაქსის და მორფოლოგიის არცოდნა. ხოლო არასწორი სიტყვა-გამოთქმების პერმანენტული ხმარება მათ დამკვიდრებას იწვევს, ყური ეჩვევა და სწორი ფორმისგან ვეღარ ვანსხვავებთ, ამ ყველაფრით კი მშობლიურ ენას აზიანებს.

ანა ჭაბაშვილი, გამომცემლობა "დიოგენეს" მთავარი რედაქტორი: "რა თქმა უნდა, ენა ვითარდება, შემოდის ახალი ფორმები და არის მუდმივი კამათი სიახლეების შესახებ. ერთხელ არასწორად შემოსული სიტყვა-გამოთქმა კი ძნელად აღმოიფხვრება. ეს ეხება ინგლისურიდან შემომსკდარ ყველა ფორმას, როგორც ლექსიკურს, ისე სინტაქსურს. დღეს ახალი გამოთქმების დამამკვიდრებლები, ძირითადად, ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ინლისური ენის ნორმების მიხედვით თარგმნიან. თავის დროზე ასევე იყო რუსულის შემთხვევაში, მაგრამ რუსულს წინააღმდეგობას ვუწევდით. არსებობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი კომისია, რომელიც იყო მუდმივმოქმედი და იყო სახელმწიფო პატრონტაჟის ქვეშ. მან არსებობა შეწყვიტა 1980-იან წლებში. დღეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერები ცდილობენ, მოუარონ ამ საქმეს, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ აქვთ.

მწერალთა ენა

ბოლო წლებში ქართულ ენაში ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით გვიწევს კამათი ავტორებთან, როგორ გადმოვიდეს ინგლისური ენიდან საკუთარი და გეოგრაფიული სახელები. ჩვენ ვსწავლობდით, რომ ბგერები - პე, კა, ტე უნდა უცვლელად გადმოსულიყო. მაგრამ ახალი მოსაზრებების მიხედვით, რადგან ქართულ ენაში გვაქვს ფ, ქ, თ ბგერებიც, უნდა ისე გადმოვიტანოთ, როგორც ინგლისურში ისმის. ამავე დროს, მთელი რიგი სიტყვები უკვე დამკვიდრდა. ვამბობთ "კოკა კოლა", "თინეიჯერი". უკვე ტრადიციულია სახელები - მოსკოვი, ნაცვლად მასკვა, პარიზი, ნაცვლად - პარი. ტრადიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ვერ ვწერთ "ტინეიჯერს", მაგრამ მუდმივი კამათია "ბეკგრაუნდი", დაიწეროს თუ "ბეკგრაუნდი"... თუმცა რატომ უნდა ვიხმაროთ ეს სიტყვა, როცა მისი ქართული ანალოგი გვაქვს, ეს სხვა საკითხია."

"დიოგენეს" რედაქტორები 1998 წელს გამოცემული ლექსიკონით ხელმძღვანელობენ. ქართულ ენაში უამრავი უცხო სიტყვა შემოვიდა, რომელთა დამუშავება არ მომხდარა. ბოლო წლებში ენათმეცნიერი ავთანდილ არაბული შეეცადა, მეტყველების კულტურისა და ორთოგრაფიის ლექსიკონი გამოეცა. ბოლო პერიოდში გამოცემულ ლექსიკონებში დაშვებულია ბევრი პარალელური ფორმა, საითკენაც ენა მიისწრაფის, მაგალითად, მინახიხარ და მინახავხარ, "ერთი და იგივეს" ბრუნებისას კი, სადაც ფუძე სახელობითშია მხოლოდ უცვლელი, როგორც წესი, ავტორები ნორმებს არასოდეს იცავენ.

აქ უკვე, ზოგადად, თაობის გაუნათლებლობამდე მივდივართ.

"როცა წიგნებს ვკითხულობ და ვხედავ, რომ ირიბი ობიექტური პირის ნიშნები - ჰაე და სანი თავის ადგილზეა, ვიცი, ეს მხოლოდ და მხოლოდ რედაქტორთა დამსახურებაა, რადგან თანამედროვე ავტორები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან პირის ნიშნების ხმარებას," - ამბობს ანა ჭაბაშვილი. რედაქტორებმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: პირის ნიშნები გაასწორონ, როცა ავტორის მეტყველებას ეხება და დატოვონ უცვლელად, როცა პერსონაჟთა მეტყველებასთან გვაქვს საქმე, რადგან დღეს ასე მეტყველებენ.

რისი ბრალია ეს? - ენა მიისწრაფის პირის ნიშნებისგან გათავისუფლებისკენ თუ ავტორები ნიღბავენ საკუთარ უცოდინარობას? როგორც წესი, მწერლები თავს იმართლებენ.

რედაქტორთა გამოცდილებით, მწერლებთან დავა ყველაზე ძნელია. როგორც ანა ჭაბაშვილი იხსენებს, ზუსტად მსგავს პრობლემებს აწყდებოდნენ ენის სპეციალისტები მისი მამის, ენათმეცნიერ მიხეილ ჭაბაშვილის დროს, განსაკუთრებით - პროზაიკოსებთან. "სამწერლო ენა განსხვავდება სამეტყველო ენისგან. ილია ჭავჭავაძე რომ ამბობს: "ან შენ გიჟმა რა იცოდა" - რასაკვირველია, არასწორია მაშინდელი ნორმებითაც, თუმცა, დარღვევებს პოეზიაში უფრო დასაშვებად მიიჩნევენ," - ამბობს ანა ჭაბაშვილი.

"ქართული სალიტერატურო ენა ივსება აღმოსავლური დიალექტით, მაგრამ ბოლო ოცი წლის მოვლენების შედეგად, ლტოლვილთა შემოსვლის გამო, იმძლავრა დასავლურმა ფორმებმა. ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ავად თუ კარგად ამის მოვლა შეიძლება, ამ პროცესს ტექსტების რედაქტორები ვმართავთ, მაგრამ იქ, სადაც ზეპირი საუბარია, არავინ აკონტროლებს. თუმცა კი, ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა გამომცემლობას არ ჰყავს ფართო უფლებებით აღჭურვილი რედაქტორების ჯგუფი.

ტერმინები სახელმძღვანელოებში

როცა რედაქტორები სახელმძღვანელობის ტექსტებს ასწორებენ, აქ მთავარ სირთულედ ტერმინთა ქართული ანალოგების მოძებნა ხვდებათ.

სასკოლო სახელმღვანელოები ქართველი ავტორების მიერაა შედგენილი, თუმცა ისინი ითვალისწინებენ უცხოურ სიახლეებს, რათა არაფერი გამორჩეთ მეცნიერების უახლესი მიღწევებიდან. ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა და სახელმძღვანელომ და მასწავლებელმა ფეხი უნდა აუწყოს მსოფლიო მიღწევებს. ახალი ტერმინები განსაკუთრებით თავს იჩენს უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში.

როდესაც გამომცემლობა "დიოგენე" რამდენიმე წლის წინ ეკონომიკის სახელმძღვანელოზე მუშაობდა, ტერმინები დარგის სპეციალისტებთან ერთად დაამუშავეს, ასევე მოხდა "საერთაშორისო სამართლის" თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სახელმძღვანელოს გამოცემისას, რადგან რიგითი რედაქტორის ცოდნა ამას ვერ გასწვდებოდა.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებში, როცა დაიწყო მეცნიერების სხვადასხვა დარგების სწრაფი განვითარება, ამ დარგების მაშინდელმა ფუძემდებლებმა - უზნაძემ, რაზმაძემ, შანიძემ თუ ჩიქობავამ შემოიღეს ტერმინები, რასაც შემდეგ სპეციალისტები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში და სახელმძღვანელოებში იყენებდნენ, მათი გამოყენება დღესაც წარმატებით შეიძლება ახალი ლიტერატურის თარგმნისას. თუმცა მათ რატომღაც აღარავინ მიმართავს. ისევე როგორც ახალი დარგების - კულტუროლოგიისა თუ სოციოლოგიის სპეციალისტები მაინცდამაინც არ ჩქარობენ ტერმინების შექმნას და პირდაპირ გადმოაქვთ ინგლისური ენიდან, ვერც საერთო ტერმინებზე თანხმდებიან. "ყველაზე მეტად უჭირთ იმის გაგება, რომ ესა თუ ის გამოთქმა ქართული ენის ნორმებისთვის მიუღებელია და ამათი არგუმენტი, რომ "იმ ენაში" ასეა, არასწორია. სახელმძღვანელოს პრინციპი კი არის - როგორც ჩაწერ, ისე სწავლობენ და მკვიდრდება. საქართველოში 3000 სკოლაა და სახელმძღვანელოში არასწორად ჩაწერილი ტერმინი მთელ თაობას არასწორად ეცოდინება," - ამბობს ანა ჭაბაშვილი.

სკოლის სახელმძღვანელოების შემთხვევაში შედარებით მარტივადაა საქმე - ამ დარგებში ტერმინოლოგია, ასე თუ ისე, არსებობს და მას ემატება ახალი ტერმინები, თუმცა ახალი სახელმძღვანელოებიც იქმნება, მაგალითად, სამოქალაქო განათლების.

რედაქტორ ლალი ქადაგიძის აზრით, როგორიც იქნება საზოგადოების მხრიდან მოთხოვნა, ისეთ პროდუქტს მიიღებენ. დღეს არ არის მოთხოვნა ახალი ტერმინების დამუშავებაზე და, აქედან გამომდინარე, რასაც არ მოვითხოვთ, ვერც მივიღებთ. მაშინ, როცა ჯერ კიდევ ცოცხლები არიან ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინთა განყოფილების თანამშრომლები, რომლებსაც შეუძლიათ ახალგაზრდების გაზრდაც. თუ ასე გაგრძელდა, 10-15 წლის შემდეგ არც ერთ დარგში ქართული ტერმინი აღარ გვექნება.

გრამატიკა

როცა მხატვრულ თუ სამეცნიერო ტექსტებში დაშვებულ შეცდომებზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, მივდივართ განათლებამდე, მათ შორის - სასკოლო განათლებამდე, რადგან ენის ნორმები სწორედ სკოლაში ისწავლება. რა რჩებათ მასწავლებლებს ყურადღების მიღმა? რა ხარვეზი აქვს სასკოლო განათლებას? გამოცდილი რედაქტორები გვპასუხობენ, რომ გრამატიკის სწავლას სათანადო ყურადღება არ ეთმობა, სახელძღვანელო ინტეგრირებულია ლიტერატურასთან და, თუმცა გრამატიკის ყველა საკითხია შესული, ყურადღების გადანაწილება მაინც ლიტერატურის სასარგებლოდ ხდება, რადგან თვითონ მასწავლებელთა დამოკიდებულებაა გრამატიკისადმი მძიმე.

"მთელი ყურადღება ლიტერატურული ტექსტების სწავლაზე აქვთ გადატანილი და გრამატიკა მეორეხარისხოვნად რჩება, მაშინ როცა მას მუდმივი ვარჯიში სჭირდება. ამის საშუალებაც მასწავლებელს არ აქვს, საათების სიმცირის გამო, მაგრამ ხშირად თვითონ მასწავლებლებმა არ იციან გრამატიკა სათანადო დონეზე და, შესაბამისად, მოსწავლეებისთვის მის ახსნას თავს არიდებენ," - ამობობს ლალი ჭინჭარაული. ერთ-ერთი ჩვენი სახელმძღვანელოს ავტორი რეგიონის მასწავლებლებს ხვდებოდა და სახელმძღვანელოს აცნობდა. და იქ ერთმა მასწავლებელმა ასეთი რამ განაცხადა: "თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელი არ მიმიწვდება, ბიბლიოთეკა არ მუშაობს, იქით მეურნეობა მაქვს მისახედი... საიდან გავიგო, რას ნიშნავს სიტყვა "ედემი"?. იქ, სადაც ედემს ვერ იგებს, როგორ გაიგებს სამეცნიერო ტერმინებს? ველოდით, რომ დარბაზში ვინმეს გაეცინებოდა, მაგრამ არავის გაცინებია. მესმის, რომ მასწავლებელი ძალიან ცუდ დღეშია, მისგან ითხოვენ ბევრს და აძლევენ ძალიან ცოტას; იმ შრომის ანაზღაურება არა აქვს, რასაც მუშაობს და რაც მოეთხოვება, სოფელსაც არა აქვს არჩევანი, საიდან მოიყვანს ის სხვა მასწავლებელს! როცა სერთიფიცირებაზეა საუბარი, ალბათ სწორია, რომ უნდა შეფასდეს მასწავლებლის ცოდნა, მაგრამ თუ მასწავლებლის არსებობის პირობები არ გაუმჯობესდება, ვერაფერს მივაღწევთ. ეს დღევანდელი პრობლემა არ არის, ყველა თაობაში ასე იყო, ვერ მივაღწიეთ იმას, რომ სკოლაში სამუშაოდ მაღალკვალიფიციური კადრები წავიდნენ."

და მაინც, რა შეიძლება ამ ყველაფრის ფონზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს და მათ მოსწავლეებს ვურჩიოთ? რედაქტორთა პასუხი ლაკონურად ასე ჟღერს: მისცენ გრამატიკის ელემენტარული ცოდნა და იკითხონ რაც შეიძლება მეტი მხატვრული ლიტერატურა, საიდანაც, გვინდა-არ გვინდა, მეხსიერებაში სწორი ფორმები ჯდება.

"ლონდონი 2012"-ს
წარმოგიდგენთ
europe-bet.com

ვატარა ემილი და ოლიმპიურ ცეცხლში გახვეული ლონდონი

ოლიმპიური პრესცენტრის ხედი. მის უკან - ოლიმპიური სტადიონი

მე ყვავებმა გამაღვიძეს. ჯერ გათენებულიც არ იყო, ისე დამჩხავლეს, ვერც ერთი მაღვიძარა ვერ შეედრებოდა. ესეც ლონდონის თავისებურებაა. მსგავსს ვერსად შეხვდები. ყვავები აქ ჩვეულებრივი ამბავია. ისინი აღვიძებენ ლონდონს და ქალაქს კარნახობენ საოცარ რიტმს, რომელიც გახდომის საუკეთესო საშუალებაა.

ლონდონი სწრაფი ქალაქია, უფრო სწორად, ლონდონელები ძალიან სწრაფად მოძრაობენ. ყველას სადღაც აგვიანდება, გვერდს ვერ აუქცევ, ფუტკრებივით ფუსფუსებენ. აქ ყველაფერი გვამცნობს, რომ ოლიმპიადა ტარდება. ბანერები აჭრელებულია ვარსკვლავების ფოტოებით. ყველა სტრუქტურა საგანგებო რეჟიმში მუშაობს. განსაკუთრებით გათანგულები აეროპორტისა და დაცვის თანამშრომლები არიან. მობილიზებულია ბრიტანეთის არმია, პოლიცია, ვოლანტიორთა და დაცვის სამსახურის თანამშრომლები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. როგორც გვითხრეს, 1100 ვაკანსია კიდევ დარჩენილია. ხელფასებიც შთამბეჭდავია. მაგალითად, მოხალისეთა ჯგუფს დღეში 300 გირვანქა სტერლინგს უხდიან იმისთვის, რომ სასურველი გეზი გიჩვენოთ და ლონდონის რუკა გადმოგცეთ.

"გეთვიკის" აეროპორტი, სადაც ჩვენ ჩავფრინდით, მგზავრებს ვერ აუდის. დღეში ასობით თვითმფრინავს ათასობით მგზავრი გადმოჰყავს. აღარაფერს ვამბობ ლონდონის ცენტრალურ - "ჰიტროუს" აეროპორტზე, სადაც უკვე ხუთი დღეა, მთელი მსოფლიოდან ხალხის ნაკადი არ წყდება. ვის არ შეხვდები აქ, დედამიწის ხუთი კონტინენტის ნაირფერ ადამიანებს. ინგლისი თავისუფალი სამყაროა. ამიტომაც იზიდავს ხალხს. განსაკუთრებით აფრიკელები აქტიურობენ, ის ქვეყნები, რომლებიც ბრიტანულ თანამეგობრობაში ერთიანდებიან. როგორც აგვიხსნეს, ყველას ნიგერიის მკვიდრი სჭარბობს. თუმცა, პრემიერ კამერონის განკარგულებით, მათი მიგრაცია შენელდა.

მიღებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები. ლონდონის თავზე დღე-ღამის განმავლობაში არ წყდება ვერტმფრენებით პატრულირება. გამოჩნდა დირიჟაბლებიც. ლონდონის ქუჩებში პოლიცია მეფობს, სტრატეგიულ ობიექტებთან კი ჩხრეკენ ყველას და ყველაფერს. მარტო აეროპორტში იმდენი ანაბეჭდი აგვიღეს, რომ ბატონ ელგუჯა ბერიშვილს (საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი) ვეხუმრებოდი - ვინმეს თუ რამე დაუვარდა, ნუ მიაწვდი, თორემ შეიძლება დაგაპატიმრონ-მეთქი.

ლონდონელებს მოსწონთ, რომ მათი ქალაქი ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობს. ყველგან ასე არ ყოფილა. მაგალითად, ათენში ოლიმპიურ ქაოსს ბერძნებმა ამჯობინეს საბერძნეთის ზღაპრულ კუნძულებზე გახიზნულიყვნენ. ქალაქში კი მხოლოდ სპორტსმენები, ტურისტები და ოფიციალური პირები ირეოდნენ. პეკინში ჩინეთის ხელისუფლებამ პროვინციიდან ხალხის მოდინება აკრძალა, რომ დედაქალაქში მოძრაობა გაეადვილებინა. ლონდონელები კი ცდილობენ, არაფერი გამორჩეთ და ყურადღების ცენტრში იყვნენ. ოლიმპიადა მოსწონს პატარა ემილსაც, რომელსაც მშობლები ოთხთვალათი დააქროლებენ. "აქ იმდენი ხალხია, რომ მამა იძულებულია მთელი დღე ჩემს გვერდით იყოს. ეს ძალიან მსიამოვნებს. კარგია ოლიმპიადა," - ამბობს ემილი და სიამოვნებით შეექცევა ნაყინს.

ოლიმპიური პარკი სტრატფორდზე მდებარეობს. აქ არის გაშენებული ოლიმპიური სოფელიც, სტადიონიც და პრესცენტრიც. ასე რომ, ლონდონის ცენტრი ახლა სტრატფორდია. იქ მოსახვედრად ყველაზე სწრაფი და საუკეთესო საშუალება მეტროა. ლონდონელები მეტროს აქტიურად იყენებენ. სტრატფორდში ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ ეს არის ქალაქი ქალაქში, თავისი სავაჭრო ცენტრებით, კვების ობიექტებით, გასართობი ცენტრებით, მაღაზიებით, სტადიონებით, ოლიმპიური შატლებით. აქ იყიდება ყველაფერი, რაც დაგაინტერესებთ. სხვადასხვა ქვეყნის რეცეპტებით ამზადებენ უგემრიელეს კერძებს. მაგალითად, შაურმას ბერძნულად. ახვევენ არა თხელ არაბულ ლავაშში, არამედ რაღაც ხმიადის მსგავს მასაში: კარტოფილის ფრი, ქათმის ხორცი, პომიდორი, ხახვი, მაიონეზი და კეტჩუპი - ძალიან გემრიელია. ეს ობიექტები ოლიმპიადის დაწყებამდე ფუნქციონირებდა, მაგრამ ოლიმპიადის დღეებში მზარეულები ვაჭრობის გაორმაგებას მოელიან. "მართალია, ხალხის ნაკადი დიდია, ამიტომ ძალიან ვიღლებით, მაგრამ ორმაგი მოგების პერსპექტივა ძალიან გვახარებს", - ამბობს როი. ოლიმპიადა მზარეულებსაც მოსწონთ.

ქართული დელეგაციის პირველი ნაკადი უკვე პოზიციებზეა. მეორე ნაკადი 4 აგვისტოს ჩამოფრინდება. 26 ივლისს ოლიმპიურ სოფელში საზეიმოდ აღმართეს ქართული დროშა. თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალი შესანიშნავი გამოდგა. ბრიტანეთის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით დადგმული. ბრიტანელებმა ოლიმპიური თამაშების მომზადებისთვის 11 მილიარდი გირვანქა დახარჯეს და, ბუნებრივია, სურთ საუკეთესოდ წარმოაჩინონ თავი. გახსნის საზეიმო ცერემონიალს ბევრი ოფიციალური პირი დაესწრო. ჩვენი მედროშე ნინო სალუქვაძე იყო - გამოცდილი, ვეტერანი სპორტსმენი. საქართველოს დელეგაცია კი ამაყად მოაბიჯებდა. დელეგაციას აკლდა ძიუდოისტი ბეთქილ შუკვანი. ბეთქილი დღეს ქართველთაგან პირველი იქნება, ვინც ოლიმპიურ თამაშებს გახსნის. შუკვანი კარგად არის მომზადებული. მისგან მედალს ელიან. ამიტომ სამწვრთნელო შტაბმა გადაწყვიტა, სპორტსმენს დასვენების საშუალება მისცეს.

ბეთქილის პირველი მეტოქე ავსტრალიელი ერნი დიკინსია. შეიძლება ითქვას, ქართველს გაუმართლა. დიკინსი დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის. ასე რომ, შუკვანი ალბათ გავა მეორე წრეში, სადაც მას ფრანგი მილოშ სოფიანი ელოდება. მესამე წრეში კი მოზამბიკისა და სოლომონის კუნძულების წარმომადგენელთა შორის გამარჯვებულს შეხვდება. თუ ფრანგს აჯობებს, შუკვანს შანსი აქვს, მეოთხედფინალში დიდი დაძაბულობის გარეშე გავიდეს. იქიდან კი უკვე მედალიც მოჩანს.

მომქანცველი დღის შემდეგ სახლში დავბრუნდით. პაბიდან გამოსული ლოთი მთელი ღამე ყვიროდა. როგორც ჩანს, ძალიან გააბრაზეს, უშვერი სიტყვებით იგინებოდა და ვიღაცის მანქანას ისე ლეწავდა, როგორც არნოლდ შვარცენეგერი "ტერმინატორ 3-ში". მისთვის ლონდონში ახალი არაფერია.

SORRY ლონდონისგან

გიგა გურასაშვილი
ლონდონიდან

ოლიმპიადის უსაფრთხოებაზე ყველა ზრუნავს

ოლიმპიური თამაშების მესამედ მასპინძლობის უფლება 2005 წელს მოიპოვეს. მერე საქართველოს რამდენიმე წლის ბიუჯეტი - 11 მილიარდი სტერლინგი დახარჯეს და ოლიმპიური პარკი გააშენეს. თანაც იქ, სადაც ადრე ქიმიური ქარხანა, ნაგავსაყრელი და საერთოდ კრიმინალური რაიონი იყო, მაგრამ მილიარდებმა შედეგი გამოიღო. შესაშური რაიონი გაშენდა - ხეები დარგეს, გაამწვანეს, რაზეც მოგვიანებით დევიდ ბექჰემმა თქვა, მსგავს ვერაფერს წარმოვიდგენდი. მიდით, ნახეთ, რა სასწაული გაკეთდაო.

ლონდონმა ოლიმპიურ თამაშებს პირველად 1908 წელს უმასპინძლა, მერე -1948 წელს, ახლა კი უდიდეს სპორტულ დღესასწაულს მესამედ გაუღო კარი, რომლის წყალობითაც ლონდონი გახდა მსოფლიოში პირველი ქალაქი, რომელმაც სამჯერ უმასპინძლა ოლიმპიურ თამაშებს. მაგრამ ერთია იწოდებოდე ოლიმპიურ დედაქალაქად და მეორე - მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ბრიტანელებმა ყველა ფეხზე დააყენეს, ჯარს უხმეს, ფაქტობრივად, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს, მაგრამ მაინც უპოვეს სუსტი წერტილები. დაცვის სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც რატომღაც ხასხასა მწვანე უნიფორმებში გამოაწყვეს, ორი თუ სამი უსაშვო პირი თვალსა და ხელს შუა შეეპარათ. თუმცა, მსგავსი რაღაცები სხვაგანაც მომხდარა. შორს რომ არ წავიდეთ, მე და ჩემი ერთი კოლეგა სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, ჩვენდა უნებურად, უსაფრთხოების სამსახურის მიერ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე აღმოვჩნდით.

სოლტ-ლეიკ-სიტიდან ლონდონში დავბრუნდეთ, სადაც პოლიცია, ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები და კერძო დაცვის სამსახური პატრულირებენ. თუმცა, სიტყვა პატრულირება" ამ დაცვის სამსახურზე ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. შეცდომები უფრო მათგან მოდის. ორგანიზატორები თავს იმართლებენ, თანამშრომლები არ გვყოფნის და მდგომარეობის გამოსასწორებლად განცხადებებს განცხადებებზე ვაქვეყნებთ ასეთი სამუშაოს მაძიებელთათვისო.

საერთოდ, ოლიმპიური თამაშების პირველი დღეები ყოველთვის მძიმეა. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენ რეპეტიციას გაივლიან, რამდენ ვირტუალურ თავდასხმას მოიგერიებენ, რადგან ასპარეზობების დაწყებისას ხალხის ნაკადი ათიათასობით მატულობს. სასტარტო ვნებათაღელვის შემდეგ მეტ-ნაკლებად ყველაფერი მწყობრში დგება.

ლონდონის თავზე რამდენიმე შვეულმფრენი ერთდროულად მორიგეობს. მაღლივი შენობების სახურავებზე საზენიტო-სარაკეტო სისტემებია მომართული. არ სძინავს სკოტლანდიარდს, რომლის თანამშრომლები ავტომატური იარაღით პერიმეტრს აკონტროლებენ, არც გზააბნეული უცხოელისა თუ ადგილობრივის დაკვალიანებაზე და, სხვათა შორის, არც ფოტოსესიაზე ამბობენ უარს. ინგლისელებს უყვართ ფეხბურთი და კიდევ ბევრი რამ, მაგრამ ახლა ოლიმპიური თამაშებით ტკბებიან. თუმცა, ბევრს ცხოვრების სტილის იძულებით შეცვლა მოუხდა გადატვირთული ტრაფიკის გამო. აწუხებთ ეს ოლიმპიური აურზაური, მაგრამ არ გაგრძნობინებენ. პირიქით, ბოდიშს მოგიხდიან. ამაზე ძვირფასი სიტყვა აქ არ არსებობს. I'm sorry ან, უბრალოდ, Sorry მათთვის ერთგვარი საფირმო სიტყვაა. Sorry ყოველ ფეხის ნაბიჯზე უხერხულობასაც კი იწვევს.

ესებუამ კვალიფიკაცია გადალახა

ლონდონის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცრემონიალამდე რამდენიმე საათით ადრე ასპარეზობაში მშვილდოსნები ჩაებნენ. სწორედ ამ სახეობით იწყებს ქართული დელეგაცია ოლიმპიურ თამაშებს. ქართველებს მშვილდოსნობაში მედლის იმედიც გვაქვს.

27 ივლისს ქალთა ასპარეზობის საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა. საქართველოს ქრისტინე ესებუა წარმოადგენდა.

კვალიფიკაციაში ქართველმა მშვილდოსანმა მოკრძალებული შედეგი აჩვენა. ქრისტინემ 642 ქულა დააგროვა და 34-ე ადგილი დაიკავა, თუმცა, ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩვენი სპორტსმენი ტურნირის 1/32 ფინალში გასულიყო, სადაც ჩილელ დენისიე ვან ლამოენს შეხვდება, რომელმაც კვალიფიკაციაში ქრისტინეზე ოდნავ უკეთესი შედეგი (645 ქულა) აჩვენა და 31-ე ადგილი დაიკავა.

ქალთა ტურნირის კიდევ ერთმა ქართველმა, ხათუნა ქვრივიშვილი-ლორიგმა მეოთხე შედეგი აჩვენა (38 წლის ვეტერანი სპორტსმენი აშშ-ის სახელით ასპარეზობს).

კვალიფიკაციაში საუკეთესო შედეგი კორეელმა გოგონებმა აჩვენეს და ტურნირის მთავარ ფავორიტებადაც ისინი ითვლებიან.

1/32 ფინალი 30 ივლისს გაიმართება.

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე პირველი რეკორდიც დამყარდა. ვაჟ მშვილდოსანთა კვალიფიკაციაში კორეის ნაკრებმა რეკორდული შედეგი აჩვენა. დონგ ჰუინგმა კი, გუნდურ შეჯიბრებაში დამყარებულ მსოფლიო რეკორდთან ერთად, პირადი რეკორდიც დაამყარა. მან 699 ქულა დააგროვა. სამხრეთკორეელ სპორტსმენს ნორმალურ ადამიანებთან შედარებით 10-ჯერ ნაკლები მხედველობა აქვს, რაც საერთაშორისო ნორმებით უსინათლობას ნიშნავს.

ლონდონის დღიური

ალექსანდრე ასათიანი

როჯერ ფედერერი რიოში ჩასვლას აპირებს

გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ტომი ჰაასი ოლიმპიადაზე არ ითამაშებს. ფედერაციას ვეტერანისთვის უაილ ქარდის მიცემა შეეძლო და ამისგან თავი შეიკავა. ჰაასის იგნორირებაზე ლეგენდარულმა ბორის ბეკერმა ისაუბრა.

ბეკერი: "ეს პოლიტიზებული გადაწყვეტილებაა. ტომი ოპერაციის შემდეგ დაბრუნდა და არაჩვეულებრივ ფორმაშია. ჰაასმა მოიგო ჰალეს ტურნირი, იყო ჰამბურგის ფინალში და მეტ ყურადღებას იმსახურებდა. ტომის ლონდონში უნდა ეთამაშა და ეს ფედერაციის დიდი შეცდომაა."

■ ■ ■

ჩოგბურთელთა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია ენდი მარი. ბრიტანელი უიმბლდონის ფინალში იყო გასული. ლონდონშიც უიმბლდონის გარჩევები წავა. ბრიტების ფავორიტმა საკუთარ პერსპექტივაზე ისაუბრა. პირველ წრეში ენდი სტანისლას ვავრინკაზე გავიდა.

მარი: "ფინალში გასვლა და ფინალის მოგება მინდა. თუ ტურნირს ჩავარდნის გარეშე ჩავატარებ, სულ მცირე, ფინალში ვიქნები. ბალახის კორტებზე თამაში მომწონს. აქ უფრო სწრაფად აზროვნებ და თან იმპროვიზაციის დროც გრჩება. ყოველთვის სასიამოვნოა საკუთარ ტერიტორიაზე თამაში. ეს ჩემი უპირატესობა იქნება."

■ ■ ■

კალათბურთში ერთ-ერთი ფავორიტი ესპანეთია. ამერიკელების გუნდის შემდეგ ესპანეთი ყველაზე სერიოზული ბენდია. ორივე გასოლით, ხუან კარლოს ნავაროს მაჯით და გამოცდილებით. პო გასოლი ოპტიმისტია.

"ვიწყებთ ჩინეთით და კარგი სტარტი აუცილებელია. ოლიმპიადაზე სუსტი გუნდი ვერ ხვდება და მოდუნება არ შეიძლება. დაგსჯიან. ესპანეთი ფავორიტებშია, მაგრამ ვხვდებით, რომ ამერიკასთან ძნელი, ძალიან ძნელი იქნება", - ამბობს "ლეიკერსის" ფორვარდ/ცენტრი.

■ ■ ■

ნოვაკ ჯოკოვიჩის ფავორიტი როჯერ ფედერერია.

ჯოკოვიჩი: "როჯერი საუკეთესოა. ძნელია, როცა რეიტინგში პირველ ადგილს კარგავ, მაგრამ ყოველთვის გრჩება ლიდერობის დაბრუნების დრო. ფედერერი არა მარტო დღეს, ამ სეზონში, ყველა დროის საუკეთესოა და მისგან ბევრ რაღაცას ვსწავლობ. უიმბლდონის შემდეგ ფედერერი დაბრუნდა. უკვე ოფიციალურად დაბრუნდა. როჯერს კიდევ რამდენიმე მეიჯორის მოგების დრო აქვს. როჯერის შემდეგ ფავორიტებში მოდიან მარი, ცონგა და, ალბათ, ჯოკოვიჩი. ოლიმპიადა განსაკუთრებული ტურნირია. ფედერერიც განსაკუთრებულია. ყოველთვის განსაკუთრებული იყო", - თქვა სერბმა. ჯოკოვიჩი მართალია.

■ ■ ■

NBA-ს კომისარი დევიდ სტერნი ოლიმპიადაზე ასაკობრივი ლიმიტის შემოღებაზე საუბრობს.

სტერნი: "ეს ჯერ მხოლოდ რამდენიმე ადამიანის რჩევა იყო. არ ვიცი, რამდენად მოეწონა ეს აზრი FIBA-ს. ეს არ არის გადამწყვეტი, აუცილებელი ნიუანსი. FIBA-სთან შეხვედრას ისედაც ვაპირებდი. თუ ეს თემა აქტუალური იქნება, აუცილებლად შევხვდები და ყველაფერს გავარკვევ. ლონდონში კალათბურთელთა ტურნირი პოპულარული, განსაკუთრებული იქნება. სხვა თემებზე ტურნირის დასრულების შემდეგ ვისაუბროთ."

■ ■ ■

როჯერ ფედერერმა ჯერ ლონდონის ოქროს მედალი უნდა აიღოს. შემდეგ ოთხი წლით დარჩეს პრო ტურზე და რიოს ოლიმპიადაზეც იგივე გააკეთოს. როჯს ეს ძალიან უნდა.

ფედერერი: "რიოსთვის უკვე ასაკში ვიქნები, ალბათ, ბევრი ტურნირის გამოტოვება მომიწევს, მაგრამ იქ თამაში ძალიან მინდა და, ალბათ, ვითამაშებ. ჯერ ლონდონის ამბები მორჩეს და ბრაზილიაზე მერე ვიფიქრებ. რაფაელ ნადალის უთამაშებლობით ნებისმიერი ტურნირი ბევრს კარგავს. ვიცი, რომ ძალიან უნდოდა ლონდონში თამაში. ტურნირმა ბევრი დაკარგა. ნადალს გამოჯანმრთელებას ვუსურვებ."

■ ■ ■

ამერიკის კალათბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, ფორვარდი კარმელო ენტონი ოლიმპიური ციკლის მნიშვნელობაზე საუბრობს.

ენტონი: "ოთხი წლის წინ პეკინში გავერთეთ, ყველაფერი მოვიგეთ და ბევრი კარგი მოგონება წამოვიღეთ. იმ სეზონში "დენვერთან" ერთად დასავლეთის კონფერენციის ფინალში გავედით. განსაკუთრებული სეზონი იყო. არ ვიცი, რამდენად იმოქმედებს ეს ოლიმპიადა "ნიქსის" წარმატებაზე, მაგრამ მინდა ვიფიქრო, რომ ასე იქნება. არგენტინა, ესპანეთი კარგად არიან მომზადებულები და ყველა თამაშის მოგება ძნელია. ვნახოთ. ძალიან კარგი გუნდი გვყავს."

ლებრონი მხოლოდ კალათბურთი არ არის

უახლოესი სამი კვირის განმავლობაში მთავარი სპორტული თემა ლონდონის ოლიმპიური თამაშები იქნება. ოთხწლეულის მთავარი სპორტული ღონისძიების ერთ-ერთ ყველაზე სანახაობრივ მოვლენად კი შესაძლოა საკალათბურთო ტურნირი იქცეს. აშშ-ს ნაკრები ლონდონს საოცარი შემადგენლობით ეწვია. 2012 წლის ნაკრებს ზოგიერთი უკვე ადარებს 1992 წლის ლეგენდარულ დრიმ თიმს, რომელშიც მაიკლ ჯორდანი და მეჯიკ ჯონსონი ბრწყინავდნენ.

ალბათ არავის ეპარება ეჭვი, რომ კობი ბრაიანტისა და ლებრონ ჯეიმსის გუნდი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლების მოგებას შეძლებს. თუ NBA-ს ვარსკვლავებმა საკუთარ თავს არ შეუქმენს პრობლემა ლონდონში მათი დამმარცხებელი არავინაა. მიოკლედ კალათბურთში ობროს მედლებს NBA-ს წარმომადგენლები, რომ მოიპოვებენ თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, სააგენტო bleacherreport-მა კი გაარკვია NBA-ს კალათბურთელებიდან ვის აქვს შანსი სპორტის რომელიმე სხვა სახეობაში მოიგოს მედალი.

მშვილდოსნობა, სტეფენ კარი

მშვილდოსნობაში მტკიცე მაჯა და კარგი მიზანი წარმატების საწინდრად ითვლება. ასე, რომ თუ ამ კომპონენტებით ვიმსჯელეთ სპორტის ამ სახეობაში მედლის მოგების შანსი "გოლდენ სტეიტის" მსროლელ სტეფენ კარს უნდა ჰქონდეს.

თავის არცთუ ისე ხანგრძლივ საკალათბურთო კარიერაში მან დაამტკიცა, რომ გააჩნია ყველ საჭირო თვისება იმისათვის, რომ ოლიმპიურ თამაშებზე მშვილდოსნობაში პოდიუმისთვის იბრძოლოს. მოდით კარის სტატისტიკურ მაჩვენებელებს გაგაცნობთ. თამაშიდან მისი შედეგიანობის პროცენტი 47-ია. სამქულიანებში - 44, საჯარიმოს ხაზიდან კი 90.

მას NBA-ს ერთ-ერთ საუკეთესო მსროლელად მიჩნევენ. ამავდროულად იგი საოცრად ცივსისხლიანია და საკმაოდ ხშირად ასრულებს გადამწყვეტ ტყორცნებს. სიმშივდე კი მშვილდოსნობაშიც დიდად ფასობს. საკალთბურთო მოედანზე იგი მიზწანს პრაქტიკულად არ აცილებს და რატომ უნდა ააცილოს მშვილდისნობის დროს.

ფარიკაობა, კევინ დურანტი

რა სჭირდება მოფარიკავეს. პირველ რიგში სისწრაფე. ამავდროულად მოფარიკავე უნდა იყოს მაღალი, მოქნილი, კარგად კორდინირებული და ჰქონდეს გრძელი ხელები. მოკლედ, რომ ვთქვათ კევინ დურანტის დახასიათება მივიღეთ. თავისი გრძელი ხელების წყალობით კევინი ნებისმიერ მეტოქეს დაიჭერდა დისტანციაზე და ჩხვლეტის განსახორციელებლად ახლოს არ მოუშვებდა. მოკლედ დურანტს ვერც ერთი ოპონენტი ვერ მიუახლოვდებოდა. ამ კალათბურთელს ფარიკაობაში არათუ უბრალოდ მედლის არამედ ოქროს მოგების რეალური შანსი ექნებოდა.

პლაჟის ფრენბურთი. ბისმაკ ბიომბო

მისი სიმაღლე მხოლოდ 1.86 მეტრია. იგი კალათბურთისთვისაც დაბალია და პლაჟის ფრენბურთისთვისაც, მაგრამ არსებობს ერთი დეტალი. როდესაც ბისმაკი ხელებს შლის მათი სიგრძე 2.35 მეტრია, ამის წყალობით მას ყოველ ოც წუთში ერთი ბლოკის გაკეთება შეუძლია, იგი თამაშში ფაქტობრივად საშუალოდ ორ ბლოკშოტზე მეტს აკეთებს. ეს თვისება კი პლაჟის ფრენბურთელეისთვისაც იდეალურია. ბისმაკს მეტოქე გუნდის ნებისმიერი შეტევის ჩაშლა შეუძლია. პლაჟის ფრენბურთში ბიომბო მეტოქის ყოველი მეორე შეტევის ჩაშლას შეძლებდა, რაც მას სპორტის ამ სახეობისთვის შეუვლელს გახდიდა.

ტყვიის სროლა, ბრედ მილერი

ალბათ ფიქრობთ, რომ სპორტის ამ სახეობაშიც კარგი მსროლელი უნდა შეირჩეს, თუმცა მთლად ასე არაა, ამ შემთხვევაში საჭიროა კარგი მონადირის შერჩევა. სამწუხაროდ კარლ მელოუნმა სპორტული კარიერა უკვე დაასრულა, თორემ მას ვერავინ შეედრებოდა. მელოუნის არყოფნაში ბრედ მილერი ტყვიის სროლაში იდეალური კანდიდატურაა. ცნობილია, რომ ბრედი ნადირობის დიდი მოყვარულია, ბრედი ლოსებზე ნადირობს ხოლმე და თუ ამ დროს ახერხებს სიმშვიდის შენარჩუნებას ოლიმპიური თამაშებზე მას ნერვები ნამდვილად არ უმტყუნებდა.

ჭიდაობა, ტაილერ ჰანბრო

NBA-ში არაერთ დაკუნთულ ბიჭს ნახავთ, თუმცა ჭიდაობას მაინც თავისი სპეციფიკა აქვს. პირველ რიგში საჭიროა ძლიერი ხელები და რაც მთავარია სპორტსმენს გამარჯხვებისკენ სწაფვის გიჟური სურვილი უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომ ჭიდაობაში NBA-ს კალათბურთელებიდან ტაილერ ჰანბრო შეძლებდა მედლისთვის ბრძოლას. მას მეტსახელად Psycho T-ს უწოდებენ. კალათბურთის თამაშისას ტაილერს ხშირად იხილავთ მოედანზე გართხმულს მეტოქესთან ჭიდაობისას. იგი არასდროს ერიდება კონტაქტურ ბრძოლას. დიახ ჭიდაობას თავისი სპეციფიკა აქვს და განსაკუთრებული ცოდნაცაა საჭირო, თუმცა ტაილერს გამარჯვებისადმი იმედნად გიჟური ლტოლვა აქვს, რომ სპორტის ამ სახეობაში წარმატების მიღწევას შეძლებდა.

სამმაგი ხტომა, ლებრონ ჯეიმსი

კალათბურთში ლებრონს მაედალი თითქმის გარანტირებული აქვს, სურვილის შემთხვევაში კი თანამედროვეობის ერთ-ეთრი საუკთესო კალათბურთელი სამმაგ ხტ ომაშიც შეძლებდა ოქროს მოლგებას. ამაში თავადაც ჟდარწმუნდებით თუ ლებრონის თამაშს ნახავთ.